№ I. -12



9811

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ჯეჯილისა“:

I. გიორგი წერეთელი—ი. ს-სი 3
II. საახალწლო სურათი—ლექსი დ. თომაშვილისა . . . 7
III. პატარა იესო (ფრანგულიდან)—ს. წ—სა 9
IV. მებაღე (იგავი) ალ. მ—შვილისა 13
V. პატარა მეგაზეთე (საახალწლო მოთხრობა) ნიკო ხუციშვილისა 14
VI. ბუზი (რუსულიდან) ი. ს.-სი 22
VII. ცელქი სანდრო—ლექსი განდეგილისა 24
XIII. საკვირველებანი ბუნებისა (№ 4) კენგურუ ანუ ბუმერი ლადო ადნიაშვილისა 27
IX. თავდადებული ქართველი ეჯიბი (საქართველოს წარსულიდან)—იაკობ გოგებაშვილისა 35
X. ჰაერში ფრენა (ჰაერონავტიკა)—ილიკოსი 40
XI. სიყვარულს რა არ შეუძლიან (საახალწლო მოთხრობა) ეკ. გაბაშვილისა 44
XII. ბედნიერი დღე (საახალწლო მოთხრობა რუსულიდან)—სანა ტიციშვილისა 56
XIII. წვრილმანი: აკროსტიხები, ანდაზები, ზმა, სიტყვების ამოცანა, შარადა და რებუსი 68

გიორგი წერეთლის სურათი ბიოგრაფიასთან ამ ნომრისთვის ვერ მოესწრო და თებერვლის ნომერთან ერთათ დაურიგდება ხელის-მომწერლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ფ.

№ 1.

125

წელიწადი მეთერთმეტე

თბილისი
სტამბა ექვთ. ივ. ხელაძისა. Тип. Еф. Ив. Хеладзе.
1900

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Января 1900 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

† გიორგი წერეთელი

ვენს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს“ ერთი საპატიო თანამშრომელი მოაკლდა. 12 იანვარს გარდაიცვალა ქართულ მწერლობის ერთი დედაბოძთაგანი, უანგარო მუშაკი გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი.

განსვენებული დაიბადა 1842 წ. სოფ. გორისაში, შორაპნის მაზრაში. გიორგის მამა ძველებური დარბაისელი ქართველი აზნაურიშვილი იყო. ექვთიმემ პატარა გიორგი აღზარდა ღვთის შიშში და სამშობლოს სიყვარულში. ქართული წერა-კითხვა და ლოცვები გიორგიმ მამისაგან ისწავლა. ეკლესია ისე შეუყვარდა, რომ არც ერთ წირვა-ლოცვას არ მოსცდებოდა. მამა ბევრჯერ ეტყოდა ხოლმე: „გიორგი, დილაზე ადრე ადექ შვილო, ცისკარს არ მოსცდე, თორემ მღვდელი წირვაზე სეფისკვერს აღარ მოგცემსო“. გიორგიც ჩაიყოლებდა გულში, ძილშიაც ახსოვდა მამის სიტყვა. ამას წინეთ აკაკიმ გვიამბო: „პატარა გიორგი თავის სწორებთან ბურთაობდა. ამ დროს საღამო ლოცვის ზარი დარეკეს, გიორგიმ წამსვე ანება თავი ტოლ-ამხანაგებს და ეკლესიისკენ გაიქცა. გზაზე ქვას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა, ბავშვებმა უკიჟინეს, დაბრუნდიო ურჩიეს, მაგრამ გიორგი ბავშვობითვე მტკიცე ხასიათისა იყო, ქუდი აიღო, ტანისამოსი გაიბერტყა და წავიდა ლოცვის მოსასმენათ“.

ათი წლის გიორგის უკვე წაკითხული ჰქონდა ქართული წიგნები და ხუცურიც იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მამამ გიორგი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა. გიორგიმ თან წაიღო თავისი საყვარელი ქართული წიგნებიც. როცა გიორგი რუსულ წიგნებს კითხულობდა, ჯავრი მოსდიოდა—„რატომ ამისთანა წიგნები ქართულ ენაზე კი არ არისო“. უფროს კლასებამდე რომ მიაღწია, აქ გაეღვიძა სურვილი რუსულ წიგნების მაგვარი ან დაეწერა, ან ეთარგმნა. ამგვარათ ჯერ გიმნაზიაშივე ცოდილობდა, ხან ლექსებს სწერდა, ხან რუსულ წიგნებს თარგმნიდა, მაგრამ ყველა ეს შრომა, რასაკვირველია, სუსტი იყო.

1860 წ. გიორგიმ სამაგალითოთ დაასრულა გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა, ბუნების მეცნიერების შესასწავლათ. ჯერ სტუდენტი იყო, რომ 1862 წელს „ექვთიმიძის“ სახელით დაიწყო წერა ქართულ გაზეთ-ჟურნალებში—„ცისკარში“ და „საქართველოს მოამბეში“. ამ წერილებმა მაშინვე დაიმსახურა საუკეთესო ქართველთა ყურადღება.

1866 წ. ახლათ დაარსდა ქართული სტამბა და გაზეთი „დროება“, ახალგაზდა გიორგი რედაქტორათ მოიწვიეს. ამ დღიდან იწყება მისი მუდმივი შრომა სალიტერატურო ასპარეზზე და გაბედული მოღვაწეობა სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის. „დროების“ რედაქტორობის დროს მეტის-მეტათ შრომობდა—დღე და ღამეს სტამბაში ატარებდა, თან სწერდა და თან უბრალო მუშასავით მუშაობდა. აუტანელი იყო ეს ჯაფა, მაგრამ გიორგი გატაცებული იყო ქართული მწერლობის სიყვარულით. სწორეთ ეს სიყვარული მას ამხნევებდა, შრომას სიხარულით ასრულებდა. 1871 წელს დაარსდა ,,კრებული‘‘, სადაც ერთი პირველთაგანი ადგილი ეჭირა გიორგის წერით და საქმითაც. მანვე დააარსა ,,სასოფლო გაზეთი‘‘.

მისი შრომა რომ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო, მან განიზრახა ევროპის ცხოვრების ადგილობრივათ შესწავლა, კიდევ მეტი ცოდნის შეძენა. 1873 წელს ბევრი რამ გაჰყიდ-გამოყიდა, გზის ფული შეაგროვა და ჩვენებურ ყმაწვილ ქალ-ვაჟთან ერთათ, წავი-

და საზღვარ-გარეთ. მოიარა ციურიხი, ჟენევა, შემდეგ მიუნხენი— და სხვა. უცხო ქვეყანაში ბევრჯერ ჩავარდა გაჭირვებაში, მაგრამ მხნემ და გამჭრიახე გიორგიმ მაინც გული არ გაიტეხა—საქმეში უკან არ დაიხია. ერთი ნემეცური გაზეთის გავრცელება იკისრა, თითო ხელის-მომწერზე რედაქცია თითო მანეთს აძლევდა და ამით ირჩენდა თავს უცხოეთში.

სამშობლოში რომ დაბრუნდა (1877 წ.) რუსულ და ქართულ გაზეთებში იღებდა მონაწილეობას. საყმაწვილო ჟურნალებშიაც სწერდა, ჯერ „ნობათში“ და მერე 1890 წლიდან, „ჯეჯილის“ დაარსებიდანვე გიორგი თანამშრომლობდა ამ საყმაწვილო ჟურნალში. ჩვენს პატარა მკითხველებს უსათუოთ ახსოვთ მისი ,,გელათის მონასტერი'' (90 წ. № 5 და 6), ,,ღვთის-წყალობა'' (91 წ. № 3, 4 და 5), ,,ჩვენი ძველი გმირები'' (92 წ. ყველა ნომერშია), ,,შობა ქრისტესი'' (95 წ.) და სხვ.

აგრეთვე ბევრი თქვენგანი უეჭველია დამტკბარა მისი ცნობილი მოთხრობების წაკითხვით, მოიგონეთ ,,ჩვენი ცხოვრების ყვავილი'', ,,მამიდა ასმათი'', ,,ლომ-კაცი'' ,,პირველი ნაბიჯი'' და სხვ.

განსვენებულის გვამი დაკრძალეს თბილისში დიდუბის ეკლესიის გალავანში. ქართველობამ დიდი პატივი სცა თავის ღირსეულ შვილს. საქართველოს ყოველი მხრიდან და აგრეთვე რუსეთის ყველა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებისაგან დიდძალი სამძიმრის დეპეშები მოუვიდათ განსვენებულის ჭირისუფლებს, ამასთანავე თითქმის ყველა დაბა-ქალაქებიდან დეპუტაცია დაესწრო დამარხვის დროს.

განსვენებული დიდი მოსარჩლე იყო დაბალი ხალხისა, მეტადრე ხელოსნების და მუშებისა. ამათაც ღირსეულათ დააფასეს გიორგის ღვაწლი: გოლოვინის პროსპექტიდან დიდუბემდე (4 - 5 ვერსი) ხელით მიასვენეს განსვენებულის კუბო, რომელსაც მისდევდა აუარებელი ხალხი და სამი ბალდახინი გვირგვინებით დატ-

ვირთული (60-ზე მეტი იყო). ვიდრე მიწას მიაბარებდენ, აქ საფლავის პირზე ბევრი სიტყვა ითქვა. წარმოსთქვა სიტყვა აკაკიმ, პეტრე უმიკაშვილმა, ვოლსკიმ და სხვ.; წაკითხულ იქმნა ლექსი განდეგილისა, შიო მღვიმელისა და სხვ.

განსვენებულს ღმერთმა საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს და ჩვენს ერსაც ბევრი მოუვლინოს გიორგისთანა ნიჭიერი და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე, სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისთვის მებრძოლათ.

ი. ს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო სურათი

ბერაში ცვცხლი გუზგუზებს,
ციმციმებს ალი ალზედა;
გარშემო სხედან ბავშვები,
ძილი არ მოსდით თვალზედა.

დედა ბურსა ზელს, ბებიას
მოაქვს ხაჭო და ყველია;
ქოთნით რძე შესადედებლათ
შავ-ძროხის მონაწველია.

მამა საფუტკრეს ეოფილა,
მას თაფლი მოაქვს გობითა,
ვით ქარვა, ისე ბრწყინავენ
ფიჭები გარეგნობითა.

კალათში რაღა აწყვია?—
ვაშლები, ბროწეულია,
ჩურჩხელა, ტკბილი კვერები
და მსხალი მოწეულია.

კერიის ახლოს მჯდომარე
ჩიჩილაკებს თლის ბაბუა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილათ უმზერენ ბავშვები
სუფეელა კისერ-ღაბუა.
ამ კუდ გაბზეკილ კატუნას
ნეტავი რაღა სწადია?
ესეც გრძნობს ალბათ, რომ ხვალე
ახალი წელიწადია...
დედა შვილთ ემუდარება—
დაწექით, გენაცვალეთო,
ამდენ სანს ჯდომა-მზერითა
განა არ დაიღალეთო?!
ჰირჯვარი გადაიწერეთ,
დალაგდით, დაიძინეთო,
დილაზე ადრე ადექით
და ტკბილათ მოილხინეთო.
თმა-ქოჩორ გადავარცხნილი
ახალ-წელს მიეგებეთო
და ბეჯითობა საქმეში
იბედეთ, დაიკვებეთო.

დ. თომაშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ტ ა რ ა ი ე ს ო

(ლეგენდა ფრანგულიდან)

ხალ-წლის განთიადია, ცივი, სუსხიანი, მაგრამ ნათელი. პატარა იესოს მოეგლო უკვე ეველა ოჯახი, ეველასათვის მიეცა ნუგეში და აპირებდა ქალაქიდან გასვლას. მას წინ მიუძღოდა მოხუცი წელიწადი გათეთრებული, გრძელი წვერით, ბოხოხი ქუდით, წელში მოხრილი, რომელსაც ხელში ეჭირა შობის-ხე ფერად-ფერადი სანთლებით ანთებული.

პატარა იესო თეთრ ტანისამოსში იყო, ოქროს ფერი თმის კულულებით, თავზე სხივების გვირვინი ედგა.

— ახლა ხომ მოვრჩით ჩვენს საქმეს, უფალო! უთხრა მოხუცმა წელიწადმა.

— მართალია მოვრჩით, —სთქვა პატარა იესომ, ღვთიურის ღიმილით.—დიდები ადიდებენ ღმერთს, პატარები კი დაჭხარიან თავიანთ სახუქრებს, რომლებიც ჩვენ ჩავუწეთ ფეხთსაცმელებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც ერთი ოჯახი არ მიგვიტოვებია ისე, რომ თქვენ, უფალო, ნუგეში არ გეცათ. კიდით-კიდემდე ხომ მოვიარეთ, ახლა გვეყოფა,—სთქვა მოღალულმა მოხუცმა წელიწადმა და თან სიცივით კბილი კბილს აცემინებდა.

— წავიდეთ,—დაეთანხმა ჰატარა იესო და ერთი კიდევ გადახედა მიძინებულ ქალაქს.

გვიან იყო. ეკლესიების ზარების რეკა შესწყდა.

წყნარის ნაბიჯით გასწიეს ორივემ. დაფერფლილ თოვლზე მათი ფეხის ხმა არ ისმოდა. ახრდილებსავით მიდიოდენ, ნამდვილ მოჩვენებას გვანდენ.

ერთბაშათ ჰატარა იესო შედგა, გაბრწყინებული თვალებით გადახედა არე-მარეს და სთქვა:

— ეს რა სახლი მოჩანს, ჩვენ იქ არ ვეოფილვართ!

ჩაშავებულათ, ჩაბნელებულათ, რაღაც ნაღვლიანათ გამოიყურებოდა ეს სახლი, მაგრამ როდესაც ჰატარა იესო მიუახლოვდა, მთვარემ უცბათ გაანათა.

— ეგ საპყრობილე გახლავთ, უფალო,—უთხრა მოხუცმა წელიწადმა. ხედავთ მის ჰატარა სანათურებს რკინის ბადეებით?!

ჰატარა იესო მწუხარებამ მოიცვა და წარმოთქვა:— შევიდეთ შიგ?

— უფალო ჩემო, რას მივცემთ ჰატიმრებს?

— სიხარულს.

— მანდ ხომ ემაწვილები არ დაგვიხვდებიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვუყოთ. სალხია, რომელიც სტირის.

— მანდ ყველა ბოროტია, უფალო!

— ხომ შეიძლება დღეს ბოროტნი, ხვალ კეთილათ გადიქცენ!

— ღვთის გულისთვის დაანებეთ მაგათ თავი. წავიდეთ იქ, სადაც ანგელოზთა გუნდი მოგველის. ბოროტი საქმისთვის დამწყვდეულებს რითი უშველი?!

— მაგაზე ნუ სწუხარ,—უთხრა ჰატარა იესომ,-—მე მინდა მაგათ გულში იმედი და ნუგეში ადვმრა და ასეც იქნება.

— უფალო, ძნელი საქმე გაგიზრახავს, შეუძლებელია. ეგ მხოლოთ დაჟინებაა.

— მე ხომ დღეს ჰატარა ვარ და ჟინიანობაც მეპატიება.

მოხუცმა წელიწადმა თავი ჩაღუნა, მისცა გზა ჰატარა იესოს და თითონ უკან გაჰყვა.

ჰატარა იესო უხილავათ შევიდა ჩაბნელებულ და წყვდიადით მოცულ საჰერობილეში, თავისი ნათელით გააბრწყინვალა სატუსაღო, ყველასთვის სათითაოთ შეიტანა იქ იმედი და ნუგეში. არც ერთი კუთხე, არც ერთი კუნჭული, სადაც მხოლოთ ოხვრა და გლოვა მოისმოდა, არ დატოვა ისე, რომ უხილავათ გულზე და შუბლზე ხელი არ შეეხო და ამითი სინანული არ ეგრძნობინებინა მათთვის და არ მიეცა რწმენა მომავალისა.



დღესასწაულ დღეს ამათ შავი ბური სეფისკვერათ ვაკ დაექცათ და წეალი ნათლიღების მირონათ.

იესო ქრისტემ ამ დღეს ეველას მიუტევა და მას შემდეგ ჩვენც ჩვეულებათ შემოვიღეთ დღესასწაულებზე ეველას მივუტევოთ ხოლმე.

ანდ. წ—სა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მებაღე

(იგავი)

ერთმა კაცმა დაინახა, რომ მებაღემ ვირს თავში კეტი სდრუსა და სული გააფთხობინა.

— რა დაგიშავა, რათ მოჰკალ ეგ უბედური ვირიო? — ჰკითხა იმ კაცმა მებაღეს.

— იმასე მეტი რა უნდა დაეშავებინა, რომ ბოსტანში შემპარვია და ნათესი სულ გადუკორტნიაო.

— ვისია ვირიო?

— ჩემიო.

— შე კაი კაცო, — უთხრა იმანვე მებაღეს: ვირმა რომ ბოსტანი წაახდინა, ეს არავიხთვის არ არის საკვირველი; მაგრამ შენ რომ შენს თავს ერთი ხარალი არ აკმარე და მეორეც ზედ დაუმატე, ეს კი ძალიან მაოცებსო.

ალ. მ — შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მეგაზეთე

(სასახალწლო ამბავი)

ქრისტიშობისთვის სუსხიანი დილაა. ის დრო, როცა თბილისის ხელოსანი ხალხი უკვე საქმეს შესდგომია. მხოლოთ სუფთათ ჩაცმული, თბილ პალტოებში გამოწყობილი ჩინოვნიკები და მოწაფეებიღა აჭრელებენ ქუჩების ტროტუარებს. ესენი იღლიაში ამოდებულ პორტფელებით ზევით და ქვევით მიიჩქარიან. ეს დრო დილის რვა-ცხრა საათია.

ვერის ხიდის ჩასავალზე აშენებულ თავ-შესაფარში მრავალ ხალხს მოუერია თავი. ყველა „კონკას“ უცდის: ზოგი ზევით, ზოგი ქვევით მიმავალ „კონკაში“ ჯდება. ამ დროს აქ ერთი აურზაური დგას: ზოგი ვის ეხლება, ზოგი ვის აწუდება, ზოგი მოსულ კონკაში ჯდება, ზოგი ისევ იქვე რჩება.

— გაზეთი, გაზეთი, დღევანდელი გაზეთი არ გნებავთ?—ყვირიდა ერთი ძველ პალტოში გამოხვეული, ეურებზე ხელსახოცაკრული, გაზეთებით იღლიაში 13—14 წლის ბავშვი და აწვდიდა გაზეთის ნომერს „კონკაში“ მჯდომ ხალხს. ორიოდე მგზავრმა იყიდა გაზეთი და კითხვა დაუწყო; „კონკა“ დაიძრა, მეგაზეთემ ისკუპა მირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაზეთი, გაზეთი, დღევანდელი გაზეთი!—დაიყვირა ისევ ბავშვმა და მეორე მგზავრებით დატვირთულ კონკასთან მიიჭრა. აქაც რამდენიმე ნომერი გაზეთისა გაჰყიდა, გროშები კმაყოფილებით ჯიბეში ჩაიჩხრიალა, ჩამოხტა მარდათ კონკიდან და ნელ-ნელა ხელების ფშვნეტით, მუნმულით ხიდისკენ გასწია.

— გაუმარჯოს კოსტას!—დაუძახა ფიქრებში გართულ მეგაზეთეს ამხანაგმა.

— ოჰ, ტრიფონას გაუმარჯოს!—უპასუხა პატარა მეგაზეთემ.

— ჯერ კიდევ ადგილზე არა ხარ? რამდენს ხანს უნდა იწანწალო აგრე?—დაეკითხა ტრიფონა.

— მე მგონია, ამ ხელობასაც არა უშავს-რა, უს-ქმოთ მაინც არა ვარ,—უპასუხა მეგაზეთემ.

— მერე-და, გაქვს კი რამე მოგება?—შეეკითხა კიდევ ცნობის-მოყვარეობით ტრიფონა.

— ასე, ცოტაოდენი. ავ ბატონებთან დგომას ისევ ეს მირჩევნიან,—უპასუხა კოსტამ და გაუწოდა გაზეთი ერთ „მეგაზეთე“ მგზავრს, მაგრამ მგზავრმა ისეთი გაზეთი იკითხა, რომელიც კოსტას არა ჰქონდა.

— აი, ის გაზეთიც რომ მქონოდა, პატარა მოგება კიდევ დამრჩებოდა. შენა, შენ ბიჭო, კაი ადგილას ხარ?—დაეკითხა კოსტა ტრიფონს.

— ასე, არა მიჯირს-რა, ჯამაგირსაც კარგათ მაძლევენ და წერა-კითხვაც მასწავლეს, — უპასუხა ტრიფონმა.

— მაშ კარგია!.. ახლა-კი მშვიდობით, თორემ ვაგზალზე დამიგვიანდება, — უთხრა კოსტამ ამხანაგს, ჩამოართვა ხელი და დაეშვა თავ-ქვე ხიდისკენ.

მატარებლის წასვლამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო. გზათ, ვიდრე ვაგზალზე მივიდოდა, კოსტა მაინც არ ჭკარგავდა უბრალოთ დროს. გამვლელ და გამომვლელს აწვდიდა გაზეთს და ვაგზლისაკენ მიმავალ კონკებსაც შეუჯდებოდა ხოლმე და ცდილობდა იქაც გაეყიდნა გაზეთი. ამ გვარათ კონკაზე შესტომ-გადმოსტომით მივიდა კოსტა ვაგზალთან. მატარებლის წასვლას ბევრი აღარა აკლდა-რა. ხალხით გატენილი კონკები ზედი-ზედ იცლებოდნენ და მირს ჩამომსტარი ხალხი ცდილობდა ერთი-ერთმანეთისთვის გაესწრო, უველა ვაგზლისკენ მიეჩქარებოდა. ზოგი გატენილ ხურჯინს მიარბენინებს, ზოგი ბოხჩას და ზოგი რას, დედები ჰატარა შვილებს მიათრევენ: ზოგი ტირის, ზოგი ყვირის: ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, და სდგას ერთი ვაი-ვაგლახი. ვაგზლის ჰირდაჰირ ქუჩიდანაც მგზავრებით და ბარგით დატვირთული ეტლები ზედი-ზედ მორახრახებენ. ვაგზლის წინ ხალხი და ეტლი, ქალი და ვაჟი, დიდი და ჰატარა ბუზებივით აირივნენ. ჰოლიციელებიც ვეღარას შეელოდენ. ეტლები თანდათან ემატებოდა. მიწოლ-მოწოლამ უფრო იმატა, მოძრაობა, გასვლა-გაძოსვლა გაჭირდა. «გზა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიარეთ, იქით, აქეთ, წინ, ტპუ, ახუ!»—გაისმოდა ეთვენ მხრივ.

— ვაი დედავ! მიშველეთ... მიშველეთ... აააა!—გაისმა უეცრათ ეტლებ შუა შესაზარი ყვირილი. ამ ხმამ უფრო აღელვა ხალხი. ცნობის-მოყვარეობამ უარესი დამართა. ყველას უნდა ყვირილის მიზეზის გაგება. ყველა იმ ადგილისაკენ მიაწყდა. ვიდრე პოლიციელები გააპობდენ ხალხს, ორ კაცს უკვე ხელით მოჭავდათ მოტირალე და ფერ-წასული ბავშვი. დაკეცილი გაზეთების კონა იღლიაში დაებღუჯა და გასისხლიანებულ კეფაზე ხელს იფარებდა. გულ-კეთილ კაცისაგან მონაცემ ხელსახოცით შეუსვიეს თავი, ერთმა პოლიციელთაგანმა ჩაისვა ეტლში და ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანა. ეს იყო ჩვენი კოსტა.

ეროვ. 1.

სტამბაში გასურებული მუშაობაა: ხვალის გაზეთის ნომრისთვის ახალ ამბებს აწყობენ. ასოთ-ამწყობი გიტო უეცრათ შეჩერდა. საბეჭდ ასოების ძებნას ხელი ანება. იმ ხელთნაწერს, რომლიდანაც ამბავს აწყობდა, დაკვირვებით დააცქერდა, და თითქოს არ სჯერა ამონაკითხიო, უფრო ყურადღებით კითხვა დაუწყო. ფერი ეცვალა.

— ბიჭო, ეს რა უბედურება დამართნია ჩემ კოსტას!—დაიძახა გიტომ და მიუბრუნდა თავის მეზობელ მუშას. მუშამ გაკვირვებით შეხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეტლის ცხენების ფეხებ ქვეშ ჩავარდნილა და ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათ აცმევდენ, კარგს სვამდა და კარგს სჭამდა. სახლის ბატონის შვილებიც მას წერა-კითხვას ასწავლიდენ. კოსტას სიერთგულესაც საზღვარი არ ჰქონდა; სიზარმაცე, ხელის სიმრუდე, მოტეუება მან არ იცოდა რა იყო. მაგრამ სამაგიეროთ ზრდილობიანობა, საქმის მუყაითობა, ყველაფრის მალე გაგება, დაკვირვება კოსტას საქმე იყო. ამაზე ბატონებმა უფრო შეიყვარეს.

ერთ დილას კოსტამ შეიტყო, რომ უფროსი ბატონი სხვა ქალაქში გადუყვანიათ და მთელი ოჯახიც თან მიჰყავსო. ამ ამბავმა კოსტა ძალიან დაალონა, მაგრამ რას იზამდა, უნდა გამოთხოვებოდა ამ ღვთისნიერ ხალხს, რადგან მისი მათთან წასვლაც შეუძლებელი იყო. დარჩა კოსტა უადგილოთ. ვიდრე ხელ-ახლათ კარგ ადგილს იშოვნიდა, გიტოს თანხმობით და დახმარებით გადაწყვიტა გაზეთებით ვაჭრობა. გიტომაც ადვილათ მოახერხა თავის ნაცნობ რედაქციიდან გაზეთების გამოტანა. ადგილიდან გამოსვლის მეორე დღიდანვე დაიწყო კოსტამ გაზეთების გაყიდვა. შეეჩვია ამ საქმესაც და სარგებლობასაც ხედავდა. კოსტა თავის დასთან იდგა. დილა ადრიანათ ადგებოდა, წავიდოდა რედაქციაში, გამოართმევდა დაბირებულ რიცხვს გაზეთის ნომრებისას და გასწევდა ქალაქის იმ კუთხეებისკენ, სადაც მოსამსახურე ან მგზავრი ხალხი ბევრი იყო, ან როგორც თვითონ კოსტა იძახდა, სადაც „საგაზეთო“ ხალხი დაიარებოდა, დარჩებოდა იქ, ვიდრე გაზეთები იყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა, შემდეგ გაბრუნდებოდა შინ და საღამოობამდე მარტოხელ მეზობელ კაცს ემსახურებოდა. აქედანაც ცოტაოდენი გამორჩენა ჰქონდა და ასე, ზოგი გაზეთების მოგებით, ზოგიც მეზობლისაგან ნაჩუქებით, კოსტა თავის საკუთარ შრომით იოლათ გამოდიოდა და არც ბიძას და არც დას არ აწუხებდა.

კოსტა ამგვარი ხასიათით ეველას აუვარებდა თავს და ამიტომ, ვინც კი იმ დღეს მისი უბედური შემთხვევა გაიგო, ეველას დანანდა. გიტოს წუხილს ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა. სტამბის უფროსიც ძალიან შეწუხდა, გიტო მაშინვე გაანთავისუფლა მუშაობისაგან.

გიტო სახქაროთ საავადმეოფოსაკენ გაექანა. საშინლათ გაეხარდა როცა შეიტეო, რომ კოსტას მხოლოთ თავის კეფა აქვს მსუბუქათ გატეხილი და ფეხიც ცოტა ნაღრძობი. რადგანაც გიტო უდროოუდროთ საავადმეოფოში არ შეუშვეს, გასახარებლათ კოსტას ფორთოხლები უეიდა და შეუგზავნა. კოსტას ეს ძალიან იამა და შეუთვალა ბიძას, რომ ნაშობევს უსათუოთ კარგათ შევიქნები და ახალ-წელს ერთათ გავატარებთო. გიტო გახარებული დაბრუნდა სტამბაში და უამბო, როგორც იეო საქმე. ეველას ესიამოვნა ჰატარა კოსტას მშვიდობით გადარჩენა. შობა დღეს გიტო და მისი მმისწული ქალი მივიდნენ საავადმეოფოში და კოსტა ინახულეს. კოსტა სიხარულით ცას დაეწია ამათ დანახვაზე.

შობის მესამე დღეს კოსტა საავადმეოფოდან გამოეწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავისი ნათესავ-ნაცნობნი გაახარა. დანარჩენი დღეებიც შინ დარჩა, ახალ-წელიწად დღეს-კი გადასწევიტა უსათუოთ გაზეთების გატანა. იცოდა, რომ იმ დღეს ბევრი გაზეთი იყიდებოდა. ნათესავებმაც არ დაუშალეს, რადგან სრულებით მორჩენილი იყო.

ახლაც არ შეუწევეტია კოსტას გაზეთების ყიდვა (სხვა გაზეთებიც იშოვა) და მოუთმენლათ მოელის ვაგზლის მეგაზეთის ადგილს, რადგან ეს ადგილი თითონ მეგაზეთეებში ძალიან მოგებიან ადგილათ ითვლება. ჯერ კი ვაგზლის ახლო-მახლო ადგილებს არა სცილდება. და თუ ეს არ მოუხდა, რედაქციაში გაზეთის დამტარებელის ადგილს დაჭირდნენ. მისცემენ კიდეც, რადგან კოსტას ისე იცნობენ, როგორც მშრომელ და საქმის ერთგულ ყმაწვილს.

ნიკო ხუციშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ უ ზ ი.

(რუსულიდან)

ჩვენს სახლებში ბევრ ნაირი მწერი ცხოვრობს, მაგრამ ბუზი ყველაზე უფრო მაგნებელია.

ზაფხულში მთელი გროვა ბუზისა დაფრინავს ჩვენს ოთახში და მოსვენებას არ გვაძლევს: ჭამის დროს, ძილის დროს და მუშაობის დროსაც საშინლათ გვაწუხებენ, თავს გვაბეზრებენ. ხშირათ ჩაგვიცვივიან ხოლმე წვენში და სხვა საჭმელში, იფლობიან მურაბაში, იხრჩობიან ჩაიში. ისიც რამდენჯერ მომხდარა, რომ ადამიანს უნებლიეთ ჩაუყლაპავს კიდეც. მაგრამ უმთავრესათ ბუზი იმითი გვაგნებს, რომ ათასნაირ გადამდებ სენს და ჭირს ავრცელებს ხოლმე ადამიანებში.

ყველაზე ძრიელ ბუზებს უყვართ შაქარი და სხვა ტკბილეულობა. როცა სატკბუნებელი შემოაკლდებათ, მაშინ დაეცემიან ხოლმე ხორცს, ბურს, მწვანილს, რძეს და სხვას. როცა ბუზი ადამიანს ხელზე ან ბირზე დააჯდება, ნამცეცაობს: ხომ არაფერი დარჩა ადამიანის ხელ-ბირზე ტკბილი რამ წვენი ან ნამცეცებიო. მეტადრე თუ კაცმა გემრიელ სადილს შემდეგ ხელ-ბირ დაუბანელმა დაიძინა, შენი მტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, რა დღესაც იმას ბუზები დაეუნებენ. ბუზები სასტიკ-ობენ ადამიანის ნერწყვით და ოფლითაც.

შემოდგომის ბოლო თვეებში, რაკი აცივდება, ბუზები თან-და-თან იკარგებიან, თავიდან გვშორდებიან. სიცივის-გან საშინლათ იჟლიტებიან და ყოველ დღე აუარებელ ბუზს გამოვგვით ხოლმე სახლიდან. ხოლო ყველანი კი არ ის-ცებიან. ზოგიერთა ბუზი, მეტადრე ახალგაზდა, სადმე კედ-ლის ნაპრალში, ან ტახტის ფიცრების ნახეთქში იმალება და აქ მიმალულ ადგილებში, ღრმა ძილით იძინებს.

მაგრამ საკმაოა მზის ცხელმა სხივმა გული გაუთბოს მძინარე ბუზს, ის მაშინვე გამოიღვიძებს და ოთახში მოჭყვება ფრენას. გაზაფხულზე, აპრილის თვეში, ბუზები იღვიძებენ და კვერცხების დებას შეუდგებიან ხოლმე. თი-თო დედალი ბუზი ერთბაშათ სდებს ოთხმოცამდე პაწაწა თეთრ კვერცხებს. ნაგავს, ჭუჭს და უსუფთაობას ბუზი მე-ტათ ეტანება, იმიტომ რომ საცა იხრწნება და ლპება რა-მე, ბუზი კვერცხებს ამ უწმინდურებაში სდებს. ამგვარ ად-გილებათ ბუზს მიაჩნია: საქონლის პატივი, ჰურზე მო-კიდებული ობი, დამპალი რამ ნაჭერი, ყოველი კუთხე ოთა-ხისა, საცა კი მეტის-მეტი უსუფთაობაა. ნაგავში და იატაკის ფიცრის ნახეთქებშიაც ხშირათ სდებს ბუზი კვერცხებს. ბუ-ზებმა კარგათ იციან, რომ ამისთანა ადგილებში იმათი ჩა-მოძავლობის საკვები უხრუნველი იქნება. გამოიჩეკებიან თუ არა ყოველივეს რაც იხრწნება, სჭამენ და ზედ ფუთ-ფუთებენ.

ი. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დედას ვერ უბედავს,
რადგან გუშინ გააწბილა.

—

ველარ გასძლო, მიირბინა,
მოეხვია დედას ყელზე,
აკოცა და ჩუმათ უთხრა:
,,ჩემო დედა, გავალ მზეზე!"

—

,,—არა, შვილო, ჯერ ყინული
არ გაძლნარა საკმაოთ ძირს,
ერთი ფეხი რომ აგიცდეს,
მთლათ დაიმტვრევ ცხვირსა და ჰირს".

—

და ამ სიტყვით წარბ-შეყრილი
მოიშორა დედამ სანდრო,
მაგრამ ცოტა მოცდის შემდეგ,
ცუგრუმელამ იხელთა დრო.

—

ჩუმათ გაძვრა, გაიპარა,
ჩაჭყვა კიბის ძირს ჩასაფალს,
და რამდენსაც ჩაცსდებოდა,
იმდენს ზემოთ ავლებდა თვალს.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დარწმუნდა ვერ მხედვენო,
გაესარდა, გაიცინა,
შეკუნტრუშდა და უნდოდა
ძირს სულ ხტუნვით ჩაერბინა.

—

მაგრამ ფეხი ნაყინავზე
ვერ მოიდგა ვერა ძალით,
ხტუნვის ნაცვლათ ყირამალა
ძირს ჩაგორდა კოტრიალით.

—

გვერდები სულ დაიჩეჩქვა,
ცხვირ-პირიდან სისხლი ჭყვარა,
ფეხი იღრძო... დაწვინეს
და ორ კვირას არ ამდგარა.

კანდეგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველებანი ბუნებისა

№ 4.

კენგურუ ანუ გუმერი

(Macropus mafor)



ირველივე შეხედვით დარწმუნდება კაცი, რომ კენგურუ ძლიერ საკვირველი ცხოველია. თავიდან მოყოლებული საშინელი წვრილია და მერე კი თანდათან სულ მსვილდება, ვიდრე შუა წელამდე. ერთი ნახევარი ტანისა სრულიად შეუფერებელია მეორისა. მისი თავი, მკერდი და წინა ფეხები ისეთი წლიოკია და სუსტი, თითქოს ჯერ კიდევ დაუსრულებელიაო; სამაგიეროთ მეორე ნახევარი ტანისა შეუდარებლათ ღონიერი, მსხვილი და მთლათ დასრულებული აქვს. თავი უგავს თითქო ირემს და თითქო კურდღელსაც. უკანა ფეხებზე საძსაძი თითი აბია, ხოლო შუათანა გაცილებით დიდია და იმ თითზე ფრჩხილიც დიდი აქვს, ჩლიქს მიუგავს. წინა ფეხებზე სუთ-სუთი თითი აბია, მოძრგვალებულის კლანჭ-

ჭებით. წინა ფეხები მას ბევრს არაფერში არგია,—ამიტომ კენგურუს შეუძლიან აიღოს საჭმელი და მიიტანოს პირთან, ანუ თუ გაჯავრებულია, სილა გაარტყას რომელიმე მოწინააღმდეგე კენგურუს და ან თავის ურჩ შვილს. უკანა ფეხები-კი ღონიერი თემოებით, უდიერი გრძელი კლანჭებით და მსხვილი თითებით, მისი ნამდვილი სახტომი იარაღია; ისეთი სწრაფი და შორი-შორს გადასტომა იცის ამ უკანა ფეხებით და გრძელი ღონიერი კუდის შემწეობით, რომ კაი ნაქებ ირემსაც გაუჭირდება მასთან გაჯიბრება. ხტომის დროს მარჯვენა ფეხს ადრე იღებს ადგილიდან და ადრევე სდგამს და თან უფრო წინ, მოშორებით, ვიდრე მარცხენას.

სიმაღლით დიდი მამალი კენგურუ, როცა ის წამოსკუპებულია თავის სამფეხა სკამზე, თითქმის მდგარ კაცთან მოვა. სიგრძით ორი არშინი და ოთხი გოჯია, ცალკე კუდის სიგრძე—ერთი არშინი და ოთხი გოჯი აქვს; წონით ოთხიდან ხუთ ფუთ ნახევრამდეა. დედალი მამალზე ერთი მესამედით ნაკლებია. ბალანი აქვს ხშირი, წმინდა და თიეთიკივით რბილი,. ფერი აქვს მკრთალი დარიჩინისა.

კენგურუ დღის ცხოველია. სმენა აქვს კარგი, მხედველობა უფრო სუსტი, ენოსვა უხეირო. გონების გამჭრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხობა სულ არ უვარგა: გულ-მავიწყია, წინდაუხედავი, უბედავი; ჩქარა იცის აღელვება და ჩქარავე დამშვიდება; მხდალია და მშიშარა მეტის-მეტი,—ჩიტსაც-კი შეუძლიან გადაუბრუნოს გული—უბრალო შეფთხრიალებით. მასთან საოცარი ცნობის-მოყვარეა,—რაც უნდა დიდი გაჭირვება ადგეს და რაც უნდა საშიშარ რასმე გაურბოდეს, მით მა-ინც ვერ მოისვენებს, რომ, ამ გახურებული ხტომის დროს, თან ხშირ-ხშირათ უკან არ გაიყურებოდეს თავისი მდევნელი მტრის დასათვალიერებლათ და ხშირათ მომხდარა, რომ სწორეთ ამ დროს, ამ უკან-უკან ცქერაში, ისე მედგრათ დასჯახებია წინ მდგარ ხეს ან ქვას, რომ იქვე ფეხები გაუფშეკია.

სცხოვრობს მხოლოთ ავსტრალიაში. უყვარს ფართო, ტრიალი მინდვრები, მწვანე ბალახით მოსილი და მდიდარი მცენარეულობით შემკული. სჯამს კენგურე სხვა-დასხვა მცენარეულს; ამჯობინებს უფრო ბალახსა და ფოთოლს, თუმცა არ სწუნობს აგრეთვე ფესვებსა და ძირებს, ქერქს, ნეკერს, ნაყოფს. მოსწყვეტავს თუ არა რაიმე ნოყიერ ბალახს, დასკუჰდება უკანა ფეხებზე და კუდზე, როგორც სამფეხა სკამზე და ასე ნებივრათ და მედიდურათ შეექცევა გემრიელ საჭმელს. როცა გაძღება, დაკმაყოფილდება, გადაგორდება გვერდზე და გაშლართავს მეტის-მეტ გრძელს უკანა ფეხებს.

თუ შენიშნა მცირე რამ საშიში, კენგურე იმ წამსვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიქცევა ხოლმე. ის მიხტის მარტო უკანა ფეხებზე, რამ მის ხტომასთან ვერ მოვა სისწრაფით ვერც ერთი მუშუ-წოვარი ცხოველის სირბილი. ამ დროს ის მიიკრავს ჯერ გულზე თავის წინა ფეხებს, გასჭიმავს კუდს, დაა-ჭერს, რაც ღონე აქვს, მიწას უკანა ფეხებს, ისკუბებს მაღლა და ჰაერში ისარივით გადეშვება. თუ ვინიცობაა სა-შიში არა არის-რა, მაშინ იმისი სკუბი ერთ საჟენზე ცოტა მეტია, მაგრამ თუ გაურბის რასმე, თითო იმისი ნახტომი ერთი სამათ მეტია. ხტომის დროს მისი მარღ-ვიანი გრძელი კუდი მით უფრო მეტს ქანაობს, რაც ნახ-ტომი დიდია. სკუბი მისდევს სკუბს დაუოვნებლივ, შეუწ-ყვეტლათ და მასთან თითო მისი ნახტომი სიგრძით ოთხ საჟენამდეა, სიმაღლით ოთხ არშინამდე. მას შეუძლიან ირბინოს ასე, დაუღალავათ, რამდენსამე საათს. მთა-გორი-ან ადგილებში კენგურუ, რასაკვირველია, თავ-დაჭერილია: მისტის ნელა და მოკლე-მოკლეთ, ეშინიან,—ეირამალა არ გადაიაროს.

რასაკვირველია, კაი ძაღლი უნდა ჰყავდეს, ვინც იმის დაჭერას მოინდომებს, მაგრამ მისი მომწყვი ძაღლი ძა-ლიან იშვიათია. თუ ადგილი ბუჩქნარია, მონადირე ჩქარა ანებებს თავს მის დევნას, რადგან კენგურუ ხტომით გადა-დის ბუჩქებზე და ძაღლმა-კი სათითოთ უნდა ურბინოს გარს ყველა ბუჩქს. თუ გაუჭირდა საქმე და ახლო წყალი დაინახა, გადაეშვება წყალში, ხის შიგ არხეინათ თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაღლის მოწყალებით და უცდის მაღლებს: იქ იმათ სა-
თითოთ აუურუუმელავებს წყალში, და რომ გააბრუებს,
ამოიდებს ქვეშ. ხმელეთზედაც იცის თავის დაცვა მაღლებისა-
გან: მიეუდება ზურგით ერთ რომელსამე სქელ ხეს და თითო-
თითოთ სმლევს ყოველთვის მაღლებს თავისი ღონიერი უკანა
ფეხებით. მაგრამ ევროპიელებსაც, მის საუბედუროთ, ამ
ბოლო დროს ისე ჰქავთ დაწვრთნილი მაღლები, რომ სა-
თითოთ არ ეცემიან და უსათუოთ ყველანი ერთათ შეუ-
ტევენ ხოლმე და სჯობნიან. თუნდ ესეც არ ყოფილი-
ყო, ისე ბევრ ნაირ ხერხსა ხმარობენ მის მოსაკლავათ,
რადგან ბევრგვარათ არის გამოსაყენებელი, რომ ლამის
სრულიად მოსპონ ქვეყნათ ეს უვნებელი, სასიამოვნო და
სასარგებლო ცხოველი.

კიდევ სხვაფრივ არის კენგურუ შესანიშნავი,—ის ეკუ-
თვნის „გუდოსანთა“ მოდგმას. ამ მოდგმის ცხოველებს,
ყველას ძალიან ადრეულათ უჩნდებათ შვილი და, რასაკვირ-
ველია, პირველ დაბადების ხანში მათი შვილები სრულიად
დაუსრულებელია, არა ჰგვანან არაფრით თავიანთ მშობ-
ლებს. ამისათვის ბუნებას მიუნიჭებია მათთვის ისეთი
მოწყობილობა, სადაც ახლათ დაბადებული ღლაპი შეიძ-
ლება განვითარდეს და დასრულდეს სწორეთ ისე, როგორც
თავის დედის გვამში. ეს არის გუდა, ესე იგი, დედალ
კენგურუს აქვს მუცელთან გარედან ამოკრული კიდევ ერ-
თი პირი ტყავი, სწორეთ ისე, როგორც ნამდვილი გუდა.

მრავლდება კენგურუ ძლიერ ნაკლებათ, — იშვიათად რო-
დისმე გაჩენს კენგურუ ერთზე მეტ შვილს. ძაღლთ არის
სოლმე მსოლოთ 39 დღეს და ამ ხნის შემდეგ აჩენს შვილს,
ნამდვილ შვილს გუდოსანთა კვალობაზე. დედა იყვანს მას
ჰირით, სწევს ორივე ხელით თავისი გუდის ჰირებს,
ჭსვამს შიგ იმ ნამცეცა უსუსურ ღლაბს და თითონვე მო-
აკიდებინებს ჰირს ძუძუს თავზე.

გაჩენიდან თორმეტ საათს შემდეგ რომ ჭნახო, აი
რას წარმოადგენს: სიდიდით ძლივს ნახევარ გოჯზე დი-
დია; რბილია, სინათლე გასდის (გამჭვირვალია), ჭიასა
ჭვავს; თვალები დახუჭული აქვს; ყურებისა და ნესტოების
ადგილი მსოლოთ აღნიშნულია; ფეხები და კუდი ჯერ არ-
სად ემჩნევა. სრულებით არაფრითა ჭვავს მშობელს, — ეს
ჯერ მსოლოდ უბრალო ნასკვია, ვიდრე რომელიმე ჰირუ-
ტქვის შვილი. მცირეოდენი ხნის უკან აჩნდება აგრეთვე
ჰაწია კუდი და ფეხები, ხოლო იმ დროს წინა ფეხები
უფრო გრძელი აქვს, ვიდრე უკანა. ჭკიდია ასე, გაუნძრევ-
ლათ ძუძუს თავზე და საკვირველიც არ არის, რომ მას
ძუძუს წოვნაცა-კი არ შეუძლიან თავისთავათ, მაგრამ ბუ-
ნება გონივრულათ არის მომართული და აქაც, ამ შემთ-
ხვევაში ისე მოუწევია კენგურუს ძუძუ, რომ ის თავის-
თავათ აწვეთებს მას რძეს და მასთან ისე მაგრათაცა აქვს
მოკიდებული იმის ჰაწია ტუჩებს ძუძუს თავი, რომ თუნდ
თითონაც მოინდომოს, ვერ მოვარდება დედის ძუძუს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ჰატარა კენგურუ ბალნით იმოსება, მაგ-
შინ ის ერთბაშათ უმატებს სრდასაც და იწყებს აგ-
რეთვე ხან თავის, ხან ფეხების და ხან კუდის გამო-
ეოფას გუდიდან. სრული რვა თვე რჩება ასე დედის
გუდაში. ამ დროს დედა თუმცა არ აკლებს თავის კვლავინ-
დებურ სიყვარულსა და სრუნვას, მაგრამ მაინც ნებას ამ-
ლევს მამასაც თავისი შვილის ნახვისას. ხოლო თუ აქამ-
დე მოეთხოვნა ცნობის-მოყვარე მამას საყვარელი შვილის
ნახვა, დედა არა თუ ახლო არ მიუშვებდა, ჯავრობასა და
ბუსლუნს მოუყვებოდა და ხან თვითებსაც შეულერებდა და-
სარტყმელათ. როდესაც დედა მოიწადინებს საითმე გადახ-
ტომას და ამ დროს შვილს თავი აქვს გუდიდან გამო-
ეოფილი, ის ჯერ ნაზათ დასწვევს ძირს და თუ იმ
წამსვე არ გაუგონა, თავშიაც ჩაუკაკუნებს. ბოლოს და ბო-
ლოს ის სრულებით ამოდის გუდიდან და ერევა დიდებში,
მაგრამ თუ შენიშნა, თავის ჯკუაში, საშიში რამ, ისკუჰებს
ხელათ და ეირამალა ჩახტება დედის გუდაში, ამო-
ტრიალდება შიგვე წამს, ამოჭეოფს თავს და მასხარულათ
გამოიყურება—ნახე, რა უშიშარ ადგილას ვარო!

თუ რამდენათ უყვარს კენგურუს თავისი შვილი, აქე-
დან შეიძლება წარმოვიდგინოთ: როდესაც ის საშიშ მდგო-
მარეობაშია, ჯერ ყველაზე წინ ამოიყვანს გუდიდან შვილს,
მიჭმალავს სადმე ბალახებში ან ბუჩქებში და გარბის, რაც
ძალი და ღონე აქვს; თან ხტომის დროს სულ იქით გა-

იეურება, სადაც შვილი ჰყავს მიმალული. მოსადირეც მის-
დევს მას გაშმაგებული და აქისთანა შემთხვევაში. შვილი
თითქმის მუდამ უვნებელი რჩება.

ლადო ადნიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდადებული ქართველი ეჯიბი

(საქართველოს წარსულიდან).

როდესაც მეცამეტე საუკუნეში მონგოლთა ჯარმა დაიპყრა სპარსეთი, მცირე აზია ⁄ საქართველო, მისმა წინამძღოლებმა, რომელთაც მონგოლურად ნოინები ერქვათ, ყოველ-გვარი ძვირფასი ნადავლი გაუგზავნეს თავის ხელმწიფეს მანგუ-ყაენს. ამ მანგუ-ყაენს სატახტო ქალაქად ჰქონდა ყარაყორუმი, რომელიც იდო აღმოსავლეთით კასპის ზღვის იქით და დაშორებული იყო საქართველოზე თითქმის ნახევარ-წლის სავალ მანძილზე. მრავალ ნადავლავთან ერთად ნოინებმა გაუგზავნეს მანგუ-ყაენს თავისი მოხსენება, შესახებ სპარსელების და ქართველების რჯულისა, ადათისა, წეს-წყობილებისა, ჩვეულებისა და ზნისა. ამ მოხსენებაში ნოინები მეტად დიდი ქებით იხსენიებდნენ ქართველებს. „ქართველებმაო, სწერდნენ იგიგი, ვაჟკაცურად იბრძოლეს სამშობლოს დაცვისათვის და ვაჟკაცურადვე დაგვემორჩილნენო; მათ აქვთ რჯული კეთილი, სძულთ სიცრუე და მათ შორის არ მოიპოვება არც მწამლავი და არც მხიბლავიო. მაგრამ სპარსელებს კი თავისს მოხსენებაში იგინი მიწასთან ასწორებდნენ. სპარსნი არიანო ცრუნი, მოღალატენი, ფიცის გამტეხნი, ურცხვად ბიწიერნი, მათში ჩუმი მკელელები და მომწამლავი ბევრნი ურევიან და ამისთანანი სპარსელებს არამც თუ არა სძულთ, პატივითაც ეპყრობიანო.

ეს მოხსენება რომ მანგუ-ყაენს მიუვიდა, ნოინებს გამოუგზავნა შემდეგი ბრძანება: რადგანაც ქართველები ღირსეული ხალხი ყო-

ფილა, პატივით მოეპყარით და ბრძოლის დროს თქვენ გვერდით იყოლიეთ; სპარსელებს კი მუსრი გაავლეთ, მათნი მთავარნი დაატყვევეთ და აქ გამოიგზავნეთო.

ამ ბრძანების მიღების შემდეგ ნოინებმა საჭიროდ დაინახეს, რომ ჩვენი ქვეყნიდან გაგზავნილ ყოფილიყო ყარაყურუმში რომელიმე უწარჩინებულესი დიდებული ქართველი, მადლობის გადასახდელად მანგუ-ყაენის წინაშე. იმ დროს ქართველ დიდებულთა და ერისთავთა შორის პირველი ადგილი ეჭირა მესხეთის ერისთავს, რომელსაც განსაკუთრებული ტიტული ანუ წოდება ჰქონდა მინიჭებული და ერქვა ათაბაგი, საიდგანაც ძველს მესხეთს დაერქვა საათაბაგო. ამ ამბის წინედ გარდაიცვალა ივანე ათბაგი და მისი ადგილი დაიჭირა მისმა უფროსმა ვაჟმა ავაგმა, რომელიც აქამომდე იყო ამირ-სპასალარი ანუ მთავარ-წინამძღოლი მთელის საქართველოს ჯარისა. აი ეს ათაბაგი ავაგი, როგორც უწარჩინებულესი გვამი, არჩეულ იქმნა გასაგზავნად მანგუ-ყაენთან მადლობის მოსახსენებლად.

ავაგი უნდა წასულიყო ჯერ ბითო-ყაენთან, რომელიც იჯდა ჩრდილო კავკასიაში და რომელსაც ემორჩილებოდა მაშინ მთელი რუსეთი, და მერმე აქედან გამგზავრებულიყო დიდ-ყაენთან ყარაყურუმში. ავაგმა თან გაიყოლია ამალა მისი უფროსით, რომელსაც მაშინ ეჯიბი ერქვა. ეჯიბად ავაგსა ჰყავდა კაი გვარის კაცი, ძე გამოჩენილის ივანე ახალციხელისა, სახელად დავითი. რუსეთისაკენ მიდიოდა იმ ჟამად მხოლოდ ერთად ერთი გზა, სახელდობ ისა, რომელიც ახლაც მისდევს არაგვისა და თერგის ხეობასა. ავაგი წამოვიდა ახალციხიდან, გამოიარა თბილისზე და აქედან გასწია რუსეთისაკენ.

გზაზედ ეჯიბი დავითი შიშმა აიტანა: ვაი თუ ნოინებმა ბოროტი განზრახვით გაგზავნეს ავაგი სამონგოლოში და მისი დაღუპვა უნდათო. არც საკვირველია ასეთი განზრახვა მტრისაგანაო. ავაგი ახლა პირველი ვაჟკაცია საქართველოში, ფრიად გამოცდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მეომარი და წინამძღოლი ჯარისა, დიდი სახელის და გავლენის მექონეა და მონგოლებს მისი შიში უნდა ჰქონდეთო. მაგრამ ეს უძლიან ისარგებლოს პირველივე მარჯვე შემთხვევით, პირველივე მონგოლთა გაჭირებით და გაანთავისუფლოს მათი უღელისაგან სამშობლოო. ეს მონგოლებს კარგად ესმით და ძალიან შესაძლებელია, რომ მათ სწადიანთ ავაგს რაიმე ბოროტი დამართონ, ცუდი რამ აუტეხონ, სიცოცხლეს გამოასალმონო. რამდენი ჩვენებური სამაგალითო ვაჟკაცი გამოუსალმებიათ წუთი-სოფლისათვის სპარსელებს თავისი ცბიერებით და ვერაგობით, და ესევე მოსალოდნელია მონგოლთაგანაო. ეს თავისი შიში ეჯიბმა დავითმა განუზიარა ათაბაგს ავაგსა და დაუმატა: ბევრი ვიფიქრე, ბევრი ავიღ-დავიღე და ერთი კარგი ხერხი მოვიგონე, რომელზედაც შენც უნდა დამეთანხმოო.

— რა ხერხიო? — ჰკითხა ავაგმა.

მე დავირქმევ ბატონის ავაგის სახელსა, შენ დაირქვი ეჯიბი დავითის სახელი და ასე ვეჩვენოთ მონგოლებსა და მათს ყაენს ბითოსაც. თუ მართლა შენ მოკვლას გიპირებენ, მე მომკლამენ და შენ გადარჩები, რადგანაც ერთი ვიღაც ეჯიბის სიკვდილი მათთვის რა სანატრელიაო. მე ერთი უბრალო ქართველი ვარ და ჩემი სიკვდილით საქართველოს იოტის ოდენა არაფერი დააკლდება; შენი სიკვდილი კი დიდი უბედურება იქნება მთელის ჩვენის ქვეყნისათვის, რადგანაც ყველა შენგან მოელის ხსნასა და განთავისუფლებას მონებისაგანო.

ავაგმა მხურვალე მადლობა გამოუცხადა თავისს ეჯიბს ასეთი სიყვარულისა და თავდადებულობისათვის; მაგრამ სათაკილოდ მიიჩნია თავისათვის ასეთი შიში და ასეთი თავის-დამალვა და ცივს უარზე დადგა. ამ უარზე მტკიცედ იდგა მთელის მოგზაურობის დროსა და დავითის დაჟინებული ცდილობა ამაოდ მიდიოდა. მაგრამ ბოლოს დავითი ისე მხურვალედ შეევედრა ავაგსა, რომ იძულებული გახდა დათანხმებულიყო.



განელეს საშინელი გზა კავკასიონის მთებში, გადვიარეს ალაზანი და მივიდნენ მონგოლთა ბინაზე. მოახსენეს ბითოს ქართველების მისვლა, და მან ისინი დაიბარა თავისთან სანახავად. პირველად ბატონურად შებძანდა დავითი და წარსდგა ბითოს წინაშე, ვითარცა ავაგი, მას შეჰყვა და უკან დადგა ავაგი, როგორც ვითომ უბრალო ეჯიბი.

მაგრამ წარმოიდგინეთ დავითისა და ავაგის განცვიფრება, როდესაც ბითომ მათი ნახვით გულ-წრფელად გაიხარა, თავაზიანად მოეპყრო და დიდი პატივი უჩვენა „მრავალთა დღეთა შორის“. დავითმა დაინახა, რომ მისი შიში სრულიად უსაფუძვლო იყო, რომ ბითო მოშორებული იყო ყოველს ბოროტს განზრახვას ქართველების წინააღმდეგ. რაკი ამაში დარწმუნდნენ ეჯიბი და მისი ბატონი, გადასწყვიტეს სიმართლე გამოემჟღავნებინათ.

ერთ დღეს ბითომ მოინდომა ავაგის ნახვა. ავაგი აქამდის მეორედ შედიოდა ხოლმე ეჯიბის სახით; ახლა კი პირველად შევიდა ბატონის სახით, და მას უკან მოექცა დავითი, ვითარცა ნამდვილი ეჯიბი. ეს რომ ბითომ იხილა, გაოცდა და მრისხანედ ჰკითხა ავაგსა: „განა იმდენი არ იცი, რომ შენს ბატონს წინ არ უნდა დაუდგე და იგი უკან არ უნდა მოიქცეო?“ მაშინ დავითი ცოტათი მიუახლოვდა ბითოსა და ღიმილით მოახსენა: „დიდო და გამარჯობულო ხელმწიფევ! ეგე არს ბატონი და მე მონა მაგისი“. უარესად განცვიფრებულმა ყაენმა ჰკითხა მიზეზი ასეთი მათის ყოვლად უცნაური საქციელისა. დავითმა კვალად მოახსენა: „დიდო ყაენო! ჩვენ სრულიად არ გვსმენოდა გულკეთილობა თქვენი და არ ვიცოდით, თუ რას შეგვამთხვევდით. მე ამიტანა შიშმა ჩემის ბატონის მოკვდინებისამ და ბეერი თხოვნისა და ვედრების შემდეგ იგი ძლივ-ძლივობით დავითანხმე, რომ მე ბატონად გამოვცხადებულიყავ თქვენს წინაშე და იგი ჩემს ეჯიბად. ეს იმ განზრახვით, რომ თუ მაგას თქვენგან სიკვდილი მოელოდა, მე მრგებოდა იგი სიკვდილი მაგის მაგიერ და ეგ კი გადარჩენილიყო. და რადგანაც ახლა ჩვენი თვალით ვნახეთ თქვენი გულკეთილობა და დავრწმუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით თქვენს სასიქადულო პატიოსნებაში, ამიტომ თავი აღვარ-ვიმალეთ და მართალი განვაცხადეთ თქვენს წინაშე.

ასეთმა სამაგალითო თავდადებულობამ დიდად გააკვირვა ბითო და დიდათაც ასიამოვნა და უთხრა მან ავაგსა და დავითსა: რადგანაც ქართველთა ნათესავნი ყოფილხართ მაგისთანა ღირსებით შემკულნი, მე გავსცემ ბრძანებასა, რათა მონგოლთა ნოინებმა მაღლა დაგაყენონ თქვენ, ქართველები, ყველა ჩვენ მიერ დამორჩილებულს ხალხებზე, ყველაზე მეტს პატივსა გცემდნენ, მამული და საქონელი თქვენი ხელ-უხლებელი დარჩეს მონგოლთაგან და ყველა საქმეში სანდონი იყვნეთ ჩვენგანო.“

ეს თავისი განკარგულება ბითომ მისცა თვითონ ავაგსა და გაატანა თან მანგუ-ყაენთანა, რომელთანაც წავიდა ავაგი თავისი თავდადებული ეჯიბითა. მანგუ-ყაენმაც უფრო კიდევ დიდი პატივით მიიღო იგინი და დაჯილდოვებულნი გამოისტუმრა საქართველოში.

იაკობ გოგებაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერში ფრენა

(ჰაერონავტიკა)



ის არ გვინატრია: ნეტავ ფრინველათ მაქცია, არწივათ გადამაქცია, ჰაერის ზვირთებში თავისუფლათ ვნავარდობდეო. ნეტავ ცაში ამაფრინა, ღრუბელთა გუნდში გამხვია, ლაჟვარდ სივრცეში დავცურავდეო. ნეტავ აიმ კაშკაკ ვარსკვლავზე გამაჩინა, ვნახო იქ რაღა ქვეყანა არისო.

დიაღ, მას აქეთ, რაც ცა და ქვეყანა დაარსებულა, ადამიანი ასეთი შურის თვალით შესცქერის ფრინველებს და, რამდენჯერაც შეხედავს ცავს, მისი აღფრთოვანებული ოცნება უფრო და უფრო შორს მიჰქრის. ადამიანი იმედს არ ჰკარგავს — ერთხელაც არის ნატვრა ამისრულდებაო და იქნება ფრინველთაც კი გადავჭარბო და ზესკნელს ვუწიოვო.

ჰაერში ფრენის შესახებ პირველ კვალს საბერძნეთში ვპოულობთ. აქ დღესაც გაიგონებთ ერთ ძველის ძველ ამბავს. რამდენიმე ათასი წლის წინათ კრიტის კუნძულზე ბედნიერათ ბრძანებლობდა ბერძენთა მეფე მინოსი. დიდებულმა მეფემ განიზრახა თავისი სატახტო ქალაქის კოლოსის გამშვენება. მოიწვია მაშინდელი გამოჩენილი ხუროთ-მოძღვარი დედალიოსი, რომელიც ამასთანავე განთქმული მხატვარი და მქანდაკებელი იყო. რამდენსამე წელიწადში დედალიოსმა თავის ხელოვნებით მართლაც რომ ქვეყანა გააკვირვა და ქალაქი დაამშვენა. ბევრი შესანიშნავი შენობა ააგო და ქანდაკება-მხატვრობით შეამკო. სხვათა შორის, მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებით მან ააშენა ღირს-საცნობი კნოსიის **ლაბირინტი** *) — ადამიანის მჭამელი.

დედალოსმა რამდენჯერმე სთხოვა მეფეს: „ახლა კი დამითხოვეო“, მაგრამ მეფეს მეტათ ეძნელებოდა ამისთანა სასარგებლო კაცის მოშორება; განგებ ახალ საქმეებს უგონებდა და ძალათ სტოვებდა. თავისუფლების მოტრფიალე დედალოსმა ძრიელ ითაკილა ამ გვარი ძალადობა—საპატიო პატიმრობა. იმედ მიხდილმა შესთხოვა ღმერთებს რამე ნაირათ დახმარება: „ხმელეთით გზა არა მაქვს და ზღვით კიდევ ვერსად წაუვალ ამ მზაკვარ მეფეს მინოსსაო“. ღმერთებმა შეუსმინეს ვედრება, შთააგონეს დედალოსს ფრინველთა მიბაძვა და შემწეობაც აღუთქვეს. დედალოსს მართლაც და ბედნიერმა აზრმა გაუელვა: „წყალი და ხმელეთი თუ ჩემთვის შე-

*) ლაბირინტი (labyrinthus) მთელი სოფლის ოდენა შენობაა. შედგება აუარებელ დარბაზ-ოთახებიდან და ეზო-დერეფნებიდან. განგებ ისეთი არეული და რთული გეგმით არის აშენებული, რომ შიგ შემსვლელი, თუ გამოცდილი არაა, ვერას გზით შუაგულ დარბაზამდე ვერ მიატანს და თუ მიაღწია—გამოსვლით კი ვეღარ გამოვა—ისე საშიხლათ არიან დერეფნები დახლართული. კნოსიის ლაბირინტის გარდა, კიდევ ცნობილ არიან: მისირში (ეგვიპტეში), სამოსის კუნძულზე და ერთიც იტალიაში. ყველა ესენი უძველეს დროის შენობებია, სამოსის ლაბირინტის კვალს ძლივსღა პოულობენ.

**) მინოტავრი (მინოსის ხარი). ბერძნების ფანტაზია ასახელებს რაღაც ზღაპრულ ცხოველს, რომელსაც თავი ხარისა ჰქონდა, ტანი კი ადამიანისა. ეს კაც-ხარი ჰშობა მეფის მინოსის ცოლმაო (ღმერთებმა დასაჯესო). მეფე განგებ მალავდა ამ ხარ-კაცს და მერე ზემოხსენებულ ლაბირინტში მოათავსებინა. საჭმელათ-შთასანთქმელათ უგზავნიდენ დამნაშავე კაცებს და აგრეთვე ათინიდან ხარკათ აღებულ შვიდ ქალს და შვიდ ვაჟს. ამ თოთხმეტ მსხვერპლთა შორის ერთხელ გამოჩენილი გმირი თეზეოსიც მოჰყვა. ამან მოჰკლა ის ღვთის-რისხეა მხეცი ხარ-კაცი და მით დაიხსნა ათინელები სამარცხვინო და მეტათ სამძიმო ხარკიდანაო. თეზეოსმა არიადნას შემწეობით გამოაგნო ლაბირინტს და თავს უშველა.

კრულია, სამაგიეროთ ერთი გზა კიდევ მაქვს, სადაც მინოსის ხრიკები ვერას დამაკლებენო. მე მაქვს თავისუფალი ლაბირინთი (ვა), იქ მეფობს მხოლოდ ბრწყინვალე ჰელიოსი (ღმერთი მზისა) და დაეხეტება თავისი შვილდ-ისრით მონადირეთა მფარველი ღმერთა, მშვენიერი არტემიდა". მას შემდეგ მეფის მხლებელნი ამჩნევდენ, რომ დედალიოსი საცა კი შეხვდებოდა ბუმბულებს და ფრთებს— ბლომათ აგროვებდა. გამოჩენილი ხელოსანი შეუდგა საქმეს: ძაფზე ჰკინძავდა ბუმბულებს და თაფლის სანთლით ამაგრებდა-აწებებდა. ვერვინ მიუხვდა რა მიზანი ჰქონდა ამ ახლათ მოგონილ საქმეს, ხოლო დედალიოსი თავის გულის პასუხს შვილსაც არ უმხელდა. ამ გვარათ, საქმე იდუმალ დაასრულა. დედალიოსმა გააკეთა ფრთები, ერთი წყვილი – დიდრონი—თავისთვის და ერთი წყვილიც—მომცრო—თავის ლამაზ ვაჟიშვილის იკარისთვის. იხელთა დრო, ჯერ თითონ შეისხა ფრთები, მერე შვილს შეაბა მხრებზე, ფრთა ფრთას შემოჰკრა და წამსვე ჰაერში აფრინდა; იკარიც მამას აჰყვა ფრენით.

კრიტელები გაოცებული შესცქეროდენ ცას, სადაც ორი ადამიანი თავისუფლათ მიფრინავდენ ჰაერში. თავ-ზარ დაცემული ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდენ: „იქნება ღმერთები ჩამოფრინდენ და ჩვენს ქალაქს დასტრიალებენო".

დედალიოსი კი თავისი შვილით იკარით თავისუფლათ მიფრინავდა სამშობლოსკენ. აგერ ნახევარზე მეტი გაიარეს უშველებელი ზღვისა, მარცხნივ გამოჩნდენ კუნძულები, პატმოსი და დელოსი, აგერ უკვე მოჩანს სამშობლო ქვეყნის კიდე, ჰაერში მოგზაურები მეტის-მეტი სიხარულით დაღალვას ვერც კი გრძნობდენ, მაგრამ დედალიოსს შვილის დარდი მაინც ძლიერ აწუხებდა, იცოდა, რომ ჰაერის სტიქიონი არც იმდენათ სანდო იყო, მალ-მალ იხედებოდა ხოლმე უკან და თან შვილს აფთხილებდა: „შვილო იკარ, გამიგონე—ქვეით თუ დაიწევ, ზღვა ფრთებს დაგისველებს, ზევით აიწევ და მაშინ მზე დაადნობს თაფლის სანთელს და ფრთე-

ბი დაგცვივა—დაიღუპები“. საბრალო მამას თითქო გულმა უკვე ძნოო. იკარი მამას რჩევას ჯერ კი უგონებდა, მაგრამ მრუანლოა დენ თუ არა სამშობლოს, იკარს გულმა ველარ გაუძლო, ახალგაზდა გულის სურვილმა გაიტაცა, ფრთა ფრთას შემოჰკრა, მაღლა მაღლა გასწია და ერთ წამს ავარდა იქ, სადაც მეფობდა თავისი ბრწყინვალებით ჰელიოსი. გახურებულმა მზის სხივებმა წამსვე გაალხვეს თაფლის სანთელი და ფრთებს ბუმბულები გასცვიცდა. გულ-შემზარავმა ყვირილმა ჰაერი ცოდვით აავსო; თავ-გამოდებულმა ჭაბუკმა ძლივს-ღა მოასწრო მამის სახელის დაძახება, სრიალით წამოვიდა თავქვე და აღელვებული ზღვის საშინელმა ტალღებმა იგი სათამაშოთ გაიხადეს. თავ-ზარ დაცემული მამა ამოოთ უძახდა: „იკარ, იკარ, შვილო, სადა ხარ!?“ მერე დახედა ზღვას, დაინახა გაფანტული ფრთები და მსწრაფლვე მიხვდა შვილის უბედურებას.

დალონებული, გულ-ჩათუთქული საცოდავი მამა იქვე ჩამოეშვა უახლოეს კუნძულზე და შუაღამემდე აქ იჯდა. უცქეროდა ზღვას და გაფაციცებული თვალს აღეენებდა აზვირთებულ სტიქიონს. აგერ ერთმა გააფთრებულმა ტალღამ რაღაც უცნაურათ შეინავარდა და საშინელი ღრიალით უსულო გვამი მშვენიერი ჭაბუკისა საბრალო მამას ისარივით ესროლა. ვაგლახ-ტირილით უნუგეშო მამამ იქვე დამარხა თავისი საყვარელი შვილი და მარტო გაფრინდა თავის სამშობლოსკენ.

მას აქეთ იმ კუნძულს, სადაც იკარია დამარხული, დაერქვა **იკარიოსი**, ხოლო ზღვა, რომელმაც იგი შთანოქა, იწოდების იკარიოსის ზღვათ.

ეს ძველის-ძველი ამბავი თუმცა ლეგენდაა, ზღაპარია, მაგრამ აშკარათ ჰმოწმობს, რომ კაცის გონება დიდი ხანია არ ისვენებს; ვინ იცის რამდენი საუკუნეა იბრძვის, რომ ჰაერშიაც გაბატონდეს, ხოლო მიაღწია თუ არა კაცმა იავის ამ მეტათ გაბედულ სურვილს, ამას შემდეგი წერილიდან დავინახავთ.

ილიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულს რა არ შეუძლიან!

პატარა, ოდნავ განათებულ ოთახში ჩამი-ჩუმი არ ისმის, მხოლოთ კუთხეში მიკუნჭულ რკინის ფეჩში ფიქვის ნაფოტებს გაუდის ტკაცა-ტკუცი და იმავე ფეჩზე ნელა-ნელა ჩიფჩიფებს პატარა ქვაბით დადგმული წყალი. ფეჩის გვერდით, იატაკზე, მოკეცილი ზის ათი თუ თერთმეტის წლის პატარა ბიჭი და ცალ ხელზე თავ-დაყრდომილს გულიანათ სძინავს; დიდი ხნის დაუბანელი ლოყები ატკრეცილი აქვს სიცხისაგან, გამურულ შუბლზე ოფლი აქვს წამომდგარი და ამ ოფლზე აქა-იქ მიჰკვრია წამოწეწილი ჭუჭყიანი თმა; ჭუჭყიანი პერანგის საყელო ჩამოხსნია, ძალზე გაცვეთილის ახალუხის გულის-პირი აქა-იქ-ღა აქვს შეკრული.

ფეჩის პირდაპირ ტახტზე გაშლილ ლოგინში ზის პერანგის ამარა თერთმეტის წლის კოტე; ამასაც ცალ ხელზედა აქვს თავი დაყრდომილი და დაშტერებით უყურებს თავის პირდაპირ მჯდომ არსებას. კოტეს შავს, გონებით სავსე თვალებში, რაღაც ჭმუნვა, რაღაც არა ბავშური ფიქრიანობა და ნაღველი გამოჭკრთის; თითქო ვიღასაც რაღაც უნდა ჰკითხოს, თითქო ის კითხვა, რომელიც ამის თვალებში გამოიხატება, დიდი ხნიდან არის აღძრული და დიდი ხნიდანვე დაუკმაყოფილებელი და იმიტომაც უფრო დაჟინებული და მწვავი.

„ანდროს სუყოველთვის მჯდომარეს, ჩაცმულს სძინავს“, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობს კოტე, — „სადილს კი ყოველთვის ხელ და ხელ მდგმი-
არე სჭამს. მე არ მინახავს დამჯდარს წინ ჩაყრილი საჭმელი სდგმო-
დეს, ეს ყოველთვის ძაღლივით სთქვლეფავს ჭუჭყიან მათლაფებზე
რასაც მოახელებს. ანდრო ყოველთვის დაღალული და ქანც გაწ-
ყვეტილია, ანდროს ფეხები ამ ცივ ზამთარშიაც ისევე ტიტველი
და დაფათრულია ლობე-ყორეზე სიარულით, როგორც ზაფხულში,
ისევ ჭუჭყიანი ხელი და პირი, ისევ გაუკრეჭავი, ჭუჭყიანი, ჯაგ-
რის მაგვარი თმა, დაგლეჯილი ტანთ-საცმელი... რათა, რისთვის
არის ასე მიგდებული ეს კარგი, ჭკვიანი, მალხაზი, ყოველთვის
გამგონი ბიჭუნა?

— ანდრო, ბიჭო, ანდრო! მოისმა მეორე ოთახიდან გაჯავ-
რებული ხმა, კოტეს დედის ტასიასი.

ანდრომ ძილში გაიგონა ეს კარგად ცნობილი ხმა, შეიშმუ-
შნა, ხელი ჩამოიღო თავ-ქვეშიდან, შეუმაგრებელმა თავმა აქეთ-
იქით ქინდვრა დაიწყო, მაგრამ სრულებით კი ვერ გამოირკვა ძი-
ლიდან

— ანდრო, ანდრო, შე წუწკის შვილო, არ გესმის? ფეხ-აკ-
რეფით შემოვიდა ტასია ოთახში, მიუახლოვდა პატარა ბიჭს და
ჯანჯღარი დაუწყო; ადექ, ადექ! უმგზავსო, ლეხო კამბეჩო!..

— ახლავე, ახლავე, ქალბატონო, ახლავე... დუდუნებდა ჯერ
ძილიდან გამოურკვეველი ანდრო. ახლავ...

— რა ახლავე, რას დუდუნებ, შე გულ-მკვდარო, — ჩურჩუ-
ლითვე ჩასდუდუნებდა დაკუზული ტასია, — ვერა ხედავ ფეჩ-
თან ნაფოტი აღარ არის? შემოიტა, რაღას უყურებ, ოთახი რომ
გაცივდეს, ხომ დაგიყენე თვალები...

— ნაფოტი... ნაფოტი... — დიახ, დიახ, ახლავე გიახლები; და
თან ზლაზვნით წამოდგა საცოდავი ბავშვი, თვალების ფშვნეტით
კარებისაკენ წაბარბაცდა.

— უი, ქა! ეს რა ამბავია? შეჰყვირა ტასიამ გაოცებით, რო-
დესაც ლოგინზე მჯდომი კოტე გაარჩია. — დამიდგეს თვალები,

ხომ შეგცივდა პერანგის ამარა რომ ზიხარ? საბანი მაინც წამოიღ-ხი. მე ხომ არ გაგაღვიძე, ჩემო ძვირფასო? მოუკვდეს თავი მაგ ოხერ ბიჭს, კაცი გონებაში ვერ ჩააგდებს, იმის ღვიძებაში შენც გამოგაღვიძე.

— მე კი არ მეძინა, მაგრამ ის რათ გააღვიძე? ისე ტკბილად ეძინა! დღეს ძრიელ დაიღალა, იმოდენა წყალი მოიტანა ამ სიცივეში, იმოდენა შეშა შემოზიდა ოთახებში.

— მაშ ფეჩი გამქრალიყო? მაშ ოთახი გაციებულიყო, შეგცივნოდა ნაბანევს?

— დედა, ანდროს დედა არა ჰყავს? პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ კოტე შეეკითხა დედას.

რაში გეკითხება, გენაცვალე, ჰყავს თუ არა? დაიძინე, ხვალ ახალი წელიწადია, უნდა ადრე ადგე, ახალი ტანისამოსი ჩაიცვა, მასალოცად წახვიდე ნათესაობაში. თუმცა ჯერ პატარა ხარ, მაგრამ ჩემი ვაჟკაცი შენა ხარ და უთუოთ ვაჟკაცობაც უნდა გასწიო, მტერს და მოყვარეს დაენახო.

— თუ დედა ჰყავს, ჩვენსა რათ არის ეგ საცოდავი?!

— ქა, რას ჩამაცივდი! დედა არა ჰყავს და დედა არა ჰყავს?! მერე რო ჰყავს? ჩვენთან ურიგო ყოფაშია, რომ დედასთან წავიდეს? რა აკლია? მე შენ გითხრა მშიერ-მწყურვალია. ბევრი ქამით მუცელი პირთან აქვს მოქცეული!

— მუცელი ციებისგანა აქვსო დასიებული, გუშინ ნინუმ მითხრა. რატომ ხინას არ ასმევთ? რატომ ექიმს არ უჩვენებთ?

— კარგი, კარგი, თუ ღმერთი გწამს! შენებურათ კითხვებს ნუ დაიწყებ, თორემ კიდეც გათენდება და მე კი ათასი საქმე მაქვს ჯერ გასაკეთებელი. აი შენი ტანისამოსი, აქ მუთაქაზე გილაგია. ყველაფერი საგანგებოთ არის შეკერილი, წმინდა მაუდისა. გაუფრთხილდი, შენ გენაცვალე, უკანასკნელი გროშები გამოვჩხრიკე, რომ შენ ჩინებულათ გამომეწყვე.

— ანდროს სახვალიოთ ახალი აქვს რამე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდება შენთვის ღმერთო! რა დაგემართა, ბიჭო, რა ყელში გაგეჩხირა ანდრუა! შენი რა საქმეა, აქვს თუ არა!

— ახლებს რომ ჩავიცვამ, ძველებს იმას მივცემ, — ვედრებით შეხედა კოტმ დედას, — ის თითქმის სულ ტიტველია.

— როგორ თუ იმას მისცემ? მაშ საშინაოთაც და საგარეოთაც ახლები უნდა გაიხადო? რას ამბობ, ბიჭო, რას? ხომ არ გადირიე. გაჩუმდი, დაიძინე, თორე გავჯავრდები და ხვალ აღარაფრით დაგაბერებ, მერე რეები, რეები მაქვს შენთვის მომზადებული რომ იცოდე! თითის ქნევით უთხრა ტასიამ თავის საყვარელს, ერთად-ერთს ნუგეშს პატარა კოტეს და მეორე ოთახში გავიდა.

კოტეს პატარა თავში აღძრული კითხვები კი ისევ კითხვებათვე დარჩნენ, პირ-იქით იმათ მიემატა კიდევ ის ფიქრი, თუ სად იყო აქამდის პატარა ანდრო ამ საშინელ სიცივეში და ან ბნელაში საღ უნდა აეკრიფნა ნაფოტი. „მერე ჩვენს უშველებელ ეზოში, მარტოთ-მარტო ამ შუაღამისას! შარშან არ იყო მგელმა ლეკვი მოტაცა ჩვენს კარებზე? ანდროც რომ მგელს მოეტაცნოს? უცებ გაუელვა თავში კოტეს, ის სწრაფათ წამოხტა, ტიტველიკანა და ფეხშიშველა კარებისაკენ გაექანა, ოდნავ გამოაღო და ეზოში გაიხედა; იქ საშინელი ქარი ჰქროდა და აბორიალებდა წუხანდელ მოსულ თოვლს. ცა და დედამიწა ერთმანეთისაგან აღარ ირჩეოდა. მთელი არე-მარე გამოურკვეველ ბურუსში იყო გახვეული.

— ანდრო, ანდრო! — დაიძახა კოტემ ხმა დაბლივ და თან მეორე ოთახის კარებისაკენ იხედებოდა, რომ დედას არ გაეგონა და არ გასჯავრებოდა, მაგრამ ანდროს ხმა არსაით არ მოისმა.

— ანდრო, ანდრო, ანდრო..... ცოტა ხმა მოუმატა კოტემ. მოდი, ნაფოტი საჭირო არ არის, მოდი, მოდი... მგელმა არ მოგიტაცოს, მოდი..... მოდი...ი.

— რა ამბავია? რა გაყვირებს? სანთლით ხელში შემოვარდა გულ-გახეთქილი ტასია და კინაღამ შიშით წაიქცა, როდესაც გაღებულ კარებში ტიტველა, ფეხშიშველი, სიცივისაგან აძაგძაგებული თავისი შვილი დაინახა.

— დამიბრმავდეს თვალები, რას ვხედავ ამას! რამ გაგაგიჟა, ყმაწვილო! გაგონილა და თქმულა, მაგოდონა კაცი ხარ და ვერა გრძნობ, რომ ყინვაზე სდგეხარ? მოდი ჩქარა, ჩქარა ლოგინში ჩაწექ, დაიხურე, ჩათბი, თორემ ეხლავე გაგაციებს. რაღა უნდა ვქნა ახლა რომ ავათ გახდე—წუწუნებდა ტასია; მძლავრათ მოავლო ხელები კარებში გაქვავებულ კოტეს და ლოგინისაკენ დაუწყო წევა.

— ანდროს მგელი შესჭამს... ის კი არ გაცივდება? სამი საათია კარშია, ვინ იცის კიდეც გაიყინა. დედა, დაუძახე, დაუძახე, თორემ მანამ ის არ მოვა, ლოგინში არ ჩავწვები, ჯიუტათ იმეორებდა კოტე და კარებიდან ფეხს არ იცვლიდა. - რათ გააგდე, დედა, ამ საშინელ სიცივეში, რათ? ღმერთი ხომ გაგვიწყრება!..

— ღმერთო, მაცხოვარო! ეს რა დაემართა ამ ბავშვს დღესა, რა სიყვარული და ჯავრი ჩაუვარდა იმ ოხერი გადამთიელი ბიჭისა, გენაცვალეთ! გინახავთ ამისთანა საქმე! მოდი დაწექი, დაიხურე და გეფიცები ახლავე გავგზავნი დედაკაცს დასაძახებლათ. რისა გეშინიან, პირველი გასვლა ხომ არ არის იმისთვის, ყოველ ღამე ზიდავს ბოსლიდან ნაფოტს, რაღა ამაღამ შესჭამს მგელი. დაწექი გენაცვალე, დაწექი შენი ჭირიმე, თორემ შიშით გავგიჟდები, ხედავ რა რიგ გაკანკალებს?

— კარგი, დავწვები, დავიხურავ, ოღონდ შენ ჩქარა წადი, მალე შემოაყვანინე,—კანკალით და მუდარებით ეხვეწებოდა კოტე დედას.

წავალ, წავალ, ოღონდ შენ კარგათ მყავდე და თუნდ კლდეზე გადავვარდები,—სთქვა ტასიამ და საჩქაროთ გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ეზოში ერთი ალიაქოთი შეიქნა. ნინო დედაკაცმა ფარანით ხელში მუხლზე მოსულ თოვლში ვერსად იპოვნა პატარა ანდრო, დიდის ვაი-ვაგლახით მიაღწია ბოსლის კარებამდის, ბიჭები დაალვიძა და იმათი დახმარებით, მკვრის ჩირაღდნებით ხელში, შეუდგა ძებნას.

— აქეთ, ბიჭო,—ყვიროდა ერთი—აი ეს შავათ რას ამოუყვია თავი?

— ეგ ხის ნამორია, შე ჩერჩეტო,—უკიჟინებდა მეორე ბიჭი.

— აი ეს რაღაა?—სახლის კუთხესთან მიგროვილ თოვლზე უთითებდა მეორე.

— ეგ არეული კირი აგროვია, რით ვერ დაიხსომე,—უსაყვედურებდა ნინო დედაკაცი კეტით შეიარაღებულ მეღორეს და თან წუწუნებდა:

— ვაი ჩვენი ბრალი, სხვისი შვილი სხვის სახლში ეს არის. საცოდავი ობოლი, ვინ იცის გაიყინა კიდეც სადმე! დაუდგეს თვალი იმის დედას, შეურცხვეს დედობა, რომ მეორეთ გათხოვდა და ბავშვები გუგულის ბარტყებივით სხვათა კარეთ დაურიგა.

— აი, ეს ვერანა ესა!—შეჰყვირა პავლია ბიჭმა. ხედავთ სად მიკუმშულა! სითბოსთვის კი მიუგნია. ბუხრის ბანთან მიმჯდარა და სძინავს.

მართლა და მუშტის ოდნათ მოკუნტულიყო პატარა ანდრო. პირი და გულ-მუცელი თბილი კედლისთვის მიეყრდო და ზურგი კი ქარბუქისთვის მიეშვირა. ხელები მჭიდროთ გადეჭდია გულზე, თავი მუხლებ შუა ჩაედო და გაქვავებულივით იყო დახვეული.

— ანდრო, ანდრო, ბიჭო, ადექ, ადექ, გაიღვიძე, სახლში წამო,—ჩაჰყვიროდნენ ბიჭები და დედაკაცი, მაგრამ ის უნძრევლათ იდო და ოდნავი სუნთქვა-ღა მოწმობდა, რომ ჯერ სიცოცხლე არ იყო მასში შეჩერებული.

— ხელში აიყვანეთ, ხომ ხედავთ გათოშილია, სახლში შევი-

ყვანოთ. დავზილოთ, უთუოთ გაყინული აქვს სისხლი, — სთქვა ნინომ და გაუძღვა წინ ბიჭებს.

მოსამსახურეების ხმაურობაზე კოტე კიდევ ზეზე წამოიჭრა და მოჰყვა ღრიალს: — მომკვდარა, მგელს დაუგლეჯია? საწყალი, საწყალი! მიჩვენეთ, მიჩვენეთ. რა მოსვლია? და კარებში მიეჭრა ბიჭებს და თვალებ-დახუჭული და უძრავი ანდრო რომ დაინახა, უფრო შეკრთა, კანკალმა აიტანა.

— გენაცვალეთ, მიშველეთ, შემიბრალეთ, — კოდა ტასია და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა შვილს ლოგინისკენ მიათრევდა. დაწექი, დაწექი, დაწყნარდი, თუ გინდა, რომ იმასაც ვუპატრონოთ, იმასაც ყური ვუგდოთ. თორემ ახლავე ბოსელში გავგზავნი და შენს თავს ბიჭებს შევაკრევინებ და ისე ჩაგაგდებ ლოგინში. ღმერთო ჩემო, ეს რა დაემართა დღეს ამ ყმაწვილს? ვინ გადამირია ასე ჩემი ჭკვიანი ბიჭუნა? ვინ ასწავლა დედის წინააღმდეგობა?

— აი დავწვები, დავწვები. აღარც-კი გავინძრევი, ოღონდ კი ის მოაბრუნეთ. საწყალი, საწყალი... სად არის მაგის დედა! — სლუკუნებდა კოტე და თან საბანში ეხვეოდა. — სად არის უბედური, რომ დედაჩემივით ისიც არ ჰპატრონობს თავის ანდროს? მაგრამ განა დედა მხოლოთ თავის შვილს უნდა ჰპატრონობდეს? განა ჩემი ოსტატი ნინო დედა არის ჩემი, რომ ისე მიფრთხილდება, ისე მიალერსებს, ისე მააზიზებს? წამ და უწუმ მკითხავს: „ხომ არ გცივა, კოტე? ხომ არ გშიან, კოტე? ხომ არ დაიღალე?“ რათ არის ნინო ისე კეთილი, ისე სათნო... განუწყვეტლათ აძლევდა კითხვებს თავის თავს ნერვებ აშლილი კოტე და თან გაფაციცებით ყურს უგდებდა ანდროს მობრუნებას.

ის ფეჩის წინ დოშაკზე იწვა და ორ-ორი დაჩოქილი მძლავრი ბიჭი გაყინულ ხელ-ფეხს უზილავდა. ნინო კოვზით პირში წვეთ-წვეთათ არაყს აწვეთებდა. ერთი საათის შემდეგ ანდრომ თვალები აახილა, მიიხედ-მოიხედა და რომ გარშემო იმოდენა ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახა, შერცხვა და წამოვარდნა დააპირა, მაგრამ მუხლებში სასულ შინელი ტკივილი იგრძნო და ტირილი დაიწყო.

— მადლობა ღმერთს ტირის, — სთქვა ნინომ — ახლა ფიქრი აღარა არის, ახლა თქვენ წადით, შვილო, — უთხრა ბიჭებს. — ანდროს იქვე საბანი მიხურა, ფეჩს შეშა შეუმატა და თავის მინებებულ საქმესთან გაეშურა.

კოტე საბან წახურული იწვა; ტასიას ეგონა, სძინავსო, და დაშოშმინდა; პირჯვარი გადასწერა და ისიც საქმეზე წავიდა. პატარა ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

კოტეს კი არ ეძინა, ის მთლათ თრთოდა, ვერას გზით ველარ გათბა, ძვლები მთლათ ემტვრეოდა, თავის სიმძიმეს ჰგრძნობდა, ცოტაოდენათ მარცხენა გვერდში ჭვალიც ადგა, მაგრამ დედის შიშით ხმას ვერ იღებდა და უჩუმრათ, საბან ქვეშ, იფშვნეტდა გაყინულ ხელ-ფეხის თითებს.

თითქმის რიჟრაჟი იყო, როდესაც ტასია მორჩა საახალწლო სამზადისს და ოთახში შემოვიდა დასაძინებლათ. ის ფეხ აკრეფით მივიდა ფეჩთან, ლამპა დასწია, ცეცხლს კიდევ მიუმარჯვა და უნდოდა კოტეს გვერდზე მოსწოლოდა, მაგრამ საშინლათ შეჰკივლა და თავში ხელი შემოიკრა: „ვაი შენს დედას! რაღა ვქნა ახლა, რაღა წყალში გადავარდე!“

კოტეს საშინელი სიცხე ჰქონდა. იმისი გაღებული პირიდან სტვენის მაგვარი სუნთქვა ამოდიოდა და ბავშვი მოუსვენრად გმინავდა.

ნათლიღება დღეა. თუმცა მზე სდგას, მაგრამ ძალუმათ-კი ჰყინავს. სქლათ დადებულ თოვლს ფეხ ქვეშ სულ ჭყრიალ-ჭყრიალი გაუდის. მთელი სოფელი ფეხზე სდგას, დიდი და პატარა ემზადება წყლის-კურთხევაზე წასასვლელათ. დართული ქალი და რძალი მოუთმენლათ ელიან კარზე ოჯახის საქმეებში შეგვიანებულ დედამთილს, რომ იმის წინამძღოლობით გაუდგნენ გზას, შეუერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ საერთო პროცესიას. პატარა გოგო-ბიჭების კიჟინა, ხტუნვა, ხარხარი ზარივით გაისმის მოყინულ ჰაერში.

— ბიჭო, ანდრო, არ მოხვალ წყალზე?—მოისმა ხმა ტასიას ეზოში.

— სუთ, სუთ!—ჩურჩულით აჩუმებს მოყვირალ ბიჭებს ნინო. განა არ იცით, რომ კოტე ავათ არის? რა გაყვირებთ. ანდროსაც ფეხები დააძრა და კუტათ არის.

პეტრე ღვდელი თავის დიაკვნით და კოჭლი მნათეთი სულ სირბილით მიდის მდინარისკენ, ხალხი უკან მისდევს. პატარა მდინარე „ჩხრიალას“ ორთავ ნაპირი ხალხით არის სავსე. ყველა წინ იწევს, ყველას უნდა უკეთ დაინახოს, თუ როგორ ჩაუშვებს ღვდელი ჯვარს წყალში. პეტრე ღვდელმა გაათავა ლოცვა და დიდის მოწიწებით, ნამდვილის სარწმუნოებით და თაყვანის ცემით დაიჩოქა გაყინულ წყალზე ამოჭრილ ორმოს წინ და სამჯერ ჯვარის გამოსახვით წყალში ჯვარი გაავლო. შემდეგ წელში გაიმართა და ლოცვა-კურთხევით იაზმით ხალხი ასხურა. ხალხმა სიხარულის კიჟინა შეჰქნა. რამდენიმე თოფი და დამბაჩა დაიცალა. ბავშვები და დედაკაცები ჩარექებით, ბოთლებით ხელში მისცვივდნენ ყინულში ამოჭრილ ორმოს და დაუწყეს ნაკურთხი წყლით ავსება. საშინელი წაკვრა-წატანა შეიქნა. სიცივისგან გალურჯებული ხალხი მირბის, მორბის, ფეხებს აპრაკუნებს, ერთმანეთს ეხლებიან და ხარხარებენ.

ერთი სიტყვით, მთელი სოფელი აღტაცებულია. ყოველი თითოეულათ და სუყველანი ერთათ მხიარულათ ეგებებიან დიდებულ დღესასწაულს. ყოველი კაცის ოჯახში ლხინია გაჩაღებული, ულარიბესსაც კი სუფრა აქვს გაშლილი და მღერის მხიარულათ.

მარტო ტასიას ოჯახია მოღრუბლული და გაჩუმებული. იმის არე-მარეზე ჩამი-ჩუმი არ ისმის, სუყველანი ფეხის აკრეფით შედიან-გადიან. ჩვენ ნაცნობ ოთახში ხომ სამარისებრივი სიჩუმეა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის საიდუმლოებით მოცულ მყუდროებას აორკეცებს მაცხოვრის ხატის წინ ანთებული სადღესასწაულო კელაპტარი.

ტასია სულ-განაბული, ფერ-მიხდილი, მწუხარებით გასავატებული უყურებს ექიმს, რომელიც გულ-დასმით ყურს უგდებს პატარა კოტეს ფილტვების მოძრაობას. დედის გული თითქმის გაჩერებულია, იმის სიცოცხლე ახლა მხოლოთ იმაზე-ღაა დამოკიდებული, თუ რას იტყვის ექიმი კოტეს მორჩენაზე.

ტასია ნანიაშვილისა სულ ოცი წლის ყმაწვილი ქალი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ობლათ დარჩა ორი წლის კოტე. თავისი ყმაწვილ ქალობა ტასიამ ამ ობლის აღზრდას შესწირა, იმის მამულის მოვლას და პატრონობას და აი ახლა, როდესაც ღმერთმა ხელი მოუმართა, შვილი იმ ხანამდის მიიყვანა, რომ სასწავლებელში მისცა, დარწმუნდა, რომ ჩინებული ყმაწვილი დადგა და რიგიანი ნიჭი გამოიჩინა სწავლაში, ხელიდან ეცლება. — რაღათ მინდა მე სიცოცხლე, რაღათ? ეკითხება ვაებით ტასია თავის თავს და დარწმუნებულიც არის, რომ უკოტეოთ თავს არ იცოცხლებს.

აი ექიმი მორჩა, ადგა, წელში გასწორდა, ნელა-ნელა ჩაიდო უბეში ფილტვების გასაშინჯი ლუკა. ტასიას თვალები ერთი-ორათ გადიდდენ, ცნობის-მოყვარეობით სული შეუგუბდა, ტვინი კინაღამ შეერყა. ექიმი-კი ხმას არ იღებდა, ის დაკვირვებით უყურებდა ბავშვის ჩამომხმარ, მაგრამ გამონაკვთულ სახეს, შავი გიშერივით ხუჭუჭი თმა, გონიერ შუბლზე ჩამოწეწილი ყმაწვილის ფერ მკრთალ, ლამაზ სახეს ეშხით ავსებდა და ამშვენებდა, თითქოს ექიმი ამ მგრძნობიარე სახეს თვალს ვერ აშორებდა და დედა მისი კი დაავიწყდა.

— ბატონო ექიმო...—ძლივს ამოსთქვა ტასიამ. — რას იტყვი... რას?..

ექიმი შეკრთა და მაშინვე მიხვდა, რომ აქ სიჩუმე უადგილო იყო და სწრაფათ უთხრა დედას: „ღმერთი მოწყალეა. იმედია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბავშვი გადაიტანს ამ მძიმე ავადმყოფობას. მხოლოდ სიფრთხილე, სიფრთხილე დიდი გმართებთ. არ გაცივდეს, არ გაჯავრდეს, კარგათ სჭამოს, სწავლას შემოდგომამდის ვეღარ შესძლებს.

მერე ოთახი დაათვალიერა ექიმმა და ფეჩის გვერდით მჯდომი ანდრუა რომ დაინახა, ბძანა: „ამას აქ რა უნდა? გაიყვანეთ. ოთახში სუფთა ჰაერი უნდა იყოს, აქ ავადმყოფის გარდა ნურავინ დაიძინებს. ფეჩში დღე და ღამ ცეცხლი ენთოს. დღეს ან ხვალ სიცხე გამონელდება, ოფლი მოუვა და უფრთხილდით არ შეიქციოს, გესმით არ შეიქციოს, თორემ მორჩენა შეუძლებელი იქნება, სასტიკათ დაუმატა ექიმმა და გამოემშვიდობა ტასიას.

...ფეხები მოსძრა ანდროს... საწყალი..... საწყალი. ვაი, ვაი, სტკივა, ხელი არ ახლოთ... ხელი... ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ბუტბუტებდა კოტე სიცხეში. დედა, ხელი არ ახლო... სტკივა... სტკივა...

— არა, გენაცვა, არა, ხელს არ ვახლებ, თავზე დავისვამ, ხელით ვატარებ, მეორე შვილი ის იქნება ჩემი, ოღონდ შენ იყავ კარგათ, თვალი აახილე, გონს მოდი, ერთი შენებურათ შემომხედე და ჩემი მკვდარი გული გააცოცხლე,—ჩასჩურჩულებდა ტასია აღტაცებულის სიყვარულით თავის პირმშოს. ოღონდ ხმა გამე და დღეიდან ანდროს გავაბატონებ ჩემ სახლში, მეორე შვილათ მივიჩნევ, ვასწავლეკინებ...

— კოტემ თითქო გაიგონა დედის ვედრება, იმისი აღთქმა და უცებ თვალები აახილა, დედას გადახედა, გაიღიმა, რაღაც წაიბუტბუტა და ისევ გაირინდა.

— ოხ, მახცოვარო! შეჰყვირა ტასიამ სიხარულით და ხატის წინ მუხლებზე დაეცა: გეეედრები, მაპატივე ყოველი ჩემი შეცოდება, უსამართლობა და კოტე მომირჩინე და აქ შენ წინ ფიცსა ვდებ, რომ დღეიდან ყოველი ობოლი შევიწყნარო, ყველა გაჭირვებულს ნუგეში მივცე, ყოველ დავრდომილს...

— დედა, მშიან, სადა ხარ? - დაიჩურჩულა კოტემ.— ანდრო აქ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქა ვარ, კოტეჯან, აქა! — სიხარულით შეჰყვირა ზეგულლებრივათ ფეჩთან მოკუნტულმა ანდრომ, რომელიც ნათლათ გრძნობდა, რომ მისი მფარველი ანგელოზი კოტე იყო და მხოლოთ კოტეს წყალობით გადურჩა სიკვდილს, კოტეს წყალობით შეიმოსა, გასუფთავდა და განცხრომით წევს თბილ ოთახში და მოთმინებით მოელის იმ დღეს, როდესაც მოძრული ხელ-ფეხი მოურჩება და თავის მეგობართან შესძლებს თამაშობას და მადლობის გადახდას.

ტასიამ მომეტებულის გულ-მხურვალებით აღაპყრო ხელი და, დღეიდან ჩინებული დედა, კარგ დედაკაცათ გარდაიქცა.

ეგ. გაბაშვილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი დღე

(საახალწლო მოთხრობა რუსულიდან)

ადო! ნადო! ადე გაიღვიძე, რამდენი ხანია გათენდა. უკვე ექვსი საათია. ამ სიტყვებით მიმართა უფროსმა დამ მარომ თავის პატარა ათი წლის დას ნადოს, რომლის ხუჭუჭ თმიანი თავი შეინძრა და ნამძინარევი თვალები გაოცებით შეაცქერდენ საყვარელ დის ლამაზ და ჭკვიან სახეს.

— რა იყო, მარო?—შეეკითხა დას ნადო.

— ის იყო, რომ გეყოფა ნებივრობა, ჩაი მზათ არის, ადექი დავლიოთ. ნელა, დედა არ გაიღვიძოს.

მარომ გაისწორა წინსაფარი და დაიწყო სამოვრის ახლო ფუსფუსი, რომ რაც შეიძლებოდა სუფთათ დაემზადებინა დილის საუზმეთ ჩაი.

ნადო წამოხტა ლოგინიდან, საჩქაროთ ტანთ ჩაიცვა, პირი დაიბანა, დაიწყო თავისი ხუჭუჭი თმების ვარცხნა და თან თვალს არ აშორებდა სტოლს, სადაც გაჩქარებული დუღდა სამოვარი და სასიამოვნოთ გამოიყურებოდა საახალწლოთ დედისაგან გამომცხვარი ბედის კვერები.

ნადო მეტათ ცოცხალი და ტანმთელი გოგონა იყო. არც უსაქმურათ ჯდომა უყვარდა. ის და მისი და მარო ყოველ დღე რვა საათს მუშაობდენ თეთრეულის სამკერვალოში.

დღეს ნადო უფრო მადიანათ იყო მინამ უწინ. ახალი წელიწადი მოდიოდა, ამ დღეებში მეტათ ბევრი სამუშაო იყო სამკერ-

ვალოში, ნადო და მისი დაც მეტს მუშაობდენ, ამიტომ ჭამაც უფრო მეტი უნდოდათ და საჭმელი უფრო გემრიელათაც ეჩვენებოდათ ხოლმე. მართალია, ნადოს სხვა და სხვა საკერავის გაკეთება არ შეეძლო, მარტო ღილებს აკერებდა თეთრეულს, მაგრამ იმის პაწია თითებისთვის ესეც კმაროდა. ამას გარდა, უფრო სხვა რამ აწუხებდა ნადოს. წუხელის, როცა სამკერვალოდან გამოდიოდენ, მარომ გამოუცხადა თავის პატარა ამხანაგებს: — მე რაღაც მოვიგონე სადღესასწაულოთ და ჯერ კი არავის გეტყვითო. თავის საყვარელ დაია ნადოს კი უთხრა: თუ ხვალ ნახევარი საათით ადრე ადგები, შენ შეგიძლიან შეიტყო რაშიაც არის საქმეო.

— მარო, შენი ჭირიმე, მითხარი რა მოიგონე სადღესასწაულოთ, გუშინ აკი დამპირდი გეტყვიო. — ხვეწნით ჩასციებოდა ნადო დას.

— დამაცა, — უპასუხა მარომ, — ჯერ ერთი რამ უნდა გაჩვენო.

მარომ სიამოვნებით გადახედა ნადოს და გაჩუმდა.

როდესაც ჩაი გაათავეს, ორივემ თავისი გახუნებული პალტო ჩაიცვეს, ძველი შლიაპები დაიხურეს და გასწიეს სამკერვალოსაკენ.

ყოველ დღე ორივე დებს უნდა გაევლო დიდ ქუჩაზე, რომელზედაც აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო მდიდარი კაცების სახლები. პატარა ნადო გულ-ნაკლულათ შესცქეროდა იმათი ოთახის დახურულ ფანჯრებს და გაიფიქრებდა ხოლმე: ნეტავი თქვენ, რომ ადრე არავინ გაღვიძებთო და, როდესაც უკან დაბრუნების დროს დაინახავდენ იმავე ფანჯრებში გადმომდგარ პატარა ბავშვებს მხიარული, კმაყოფილების ღიმილით, მაშინ კი მარო ამოიოხრებდა და იტყოდა: ნეტავი თქვენ, რომ ჯავრი არა გაქვთ რაო.

მეტათ მგრძნობიარე გოგონა იყო 14 წლის მარო. იმისი ნაზი, სუსტი ხელები საცოდავათ ფათურობდენ ხოლმე, როდესაც სქელი მიტკლის ნაჭრიდან ნაოჭები უნდა აესხა, მაგრამ იმავე დროს ის მხოლოთ თავის ამხანაგ ქალებზე ფიქრობდა, რომლებიც დაღალულ-დაქანცულნი, ფერ-დაკარგულნი ძლივს ანძრევდენ ხე-

ლებს და ნემსებს ხან ერთ თითში იჩხვლეტდენ, ხან მეორეში. როგორ იტანჯებოდა საწყალი მარო, როდესაც თავის პაწია დაიკოს უცქეროდა მუშაობის დროს. მას გულს უკლავდა ნადოს ტანჯვა. საწყალი გოგო, რა ნაირათ იჭყანებოდა, იგრეხდა ყბებს, როდესაც რომელიმე ღილის დაკერება სქელ ადგილზე შეხვდებოდა: ხან თითს მიაჭერდა ნემსს, ხან სტოლზე დააჭერდა, ხან კედელს მიაწვებოდა და ხან ხშირათ ნემსი საკერავის მაგიერ თითონ ნადოს ფჩხილში შეყოფდა თავს. ამის დანახვაზე გამწარებული მარო ჩაჰკოცნიდა დას, იმავე წამს სახლში გაგზავნიდა და იმის სამუშაოს თითონ აკეთებდა.

ამ ბოლო დროს ნადოს თვალებში ხშირათ ცრემლი მოადგებოდა ხოლმე და ეს ძალიან აწუხებდა მაროს. ამიტომაც გადასწყვიტა სადღესასწაულოთ შობის ხე გაემართა, რომ ერთხელ მაინც ენახა იმის საწყალ დაიას სასიხარულო დღესასწაული.

II.

ქალაქის განაპირას, სადაც მაროს და ნადოს სამუშაო სამკერვალო იყო, იმის დაახლოვებით იდგა ერთი დიდი სასახლე, რომელიც ეკუთვნოდა ლალანდის ქვრივს. ჩვენი ბავშვები ხშირათ ხედავდენ ხოლმე მოხუცებულ ქალს, რომელიც სულ ერთ თავათ ფანჯარასთან იჯდა და ქუჩაში იყურებოდა. ათასში ერთხელ კარებთან მიაყენებდენ ძვირფას ეტლს და ბავშვები დაინახავდენ, რომ ლალანდისა გამოვიდოდა, ჩაჯდებოდა შიგ, კოფოზე მეეტლეს გვერდით მოუჯდებოდა ბებერი მსახური და გასწევდნენ ქალაქისკენ. საოცარი სასიამოვნო გამომეტყველება ჰქონდა მოხუცი ქალის სახეს, თუმცა სულ ერთ თავათ დაღონებული და მოღუშული იყო. ჩვენ პატარა გოგონებს ხშირათ ხედავდა ქალბატონი ლალანდისა თავის სახლის წინ მოსიარულეთ; იმას ეგონა, მათხოვრები არიანო, ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ის კი არ

იცოდა, თუ პატარა გოგონებს რანაირათ ებრალებოდათ ბებერი ქალბატონი, რომელიც ისე უპატრონოთ, უსიხარულოთ ცხოვრებდა.

ლალანდის ეზოს განაპირას იდგა ერთი ძველი ფიცრული, სრულიად მიტოვებული პატრონებისაგან. ყოველ მხრიდან ამ ფიცრულში თავისუფლათ დასეირნობდა ქარი და ისედაც თავ-მინებებულს უფრო უდაბნოს ფერსა სდებდა. აი სწორეთ აქ გადასწყვიტა მარომ თავის ნადოსთვის და სხვა ამხანაგებისთვის საშობაო ხის გამართვა და ამ დილას ნადოსაც გაუზიარა თავისი საიდუმლო.

ნადო თვალ გაჭყეტილი, სულ-განაბული უსმენდა დას, როდესაც ის აჩქარებით უხსნიდა თავის საიდუმლოს:

— აი, ნადიკო, აქ დავდგამთ ნაძვის ხეს, რომელსაც გიორგი დინელი მომიტანს ტყიდან. მართალია, ხე პატარა იქნება, მაგრამ უთუოთ ყველასათვის თითო საჩუქარი ეკიდება ზედ.

— როგორები იქნება ის საჩუქრები?—დაეკითხა ნადო.

— გეთაყვა, მაგაზე ნუ იფიქრებ, მოვახერხებთ რასმე. შენ აბა წაიკითხე სტუმრების სია. მარო ჩამოჯდა იქვე ხის ჯირკზე და ჯიბიდან ამოიღო გაჭუჭყიანებული ქაღალდის ნაჭერი, სადაც ჩამოთვლილი იყო სტუმრების სახელი და გვარი.

— მე თითქმის ყველა დავწერე აქ, ვისაც კი სხვაფრივ არ შეუძლიან იდღესასწაულოს ახალი წელიწადი.—სთქვა მარომ და გაისწორა ძველი პალტოს კალთები, რომ სიცივისაგან აკანკალებული მუხლები ცოტათი დაეთბო. — წარმოიდგინე, ნადო,—განაგრძო მან — რა მხიარულება გვექნება. გიორგის ამხანაგი ბიჭებიც დავპატიჟოთ, ჩვენი საკუთარი შობის ხე გვექნება და ვითამაშებთ, ვიმღერებთ. ვაი, მართლა რა დამავიწყდა!..

— რა?—დაეკითხა ნადო.

— რა და სანთლები. შობის ხეს ხომ განათება უნდა და ჩვენ კი არც ერთი სანთელი არა გვაქვს.



მაროომ შეწუხებით დაუწყო ცქერა იმ ადგილს, სადაც შობის ხე უნდა დაედგათ და თითქო იმედი დაეკარგა მისი სისრულეში მოყვანისა.

— არ შეიძლება მედუქნე დელბასს ვთხოვოთ?— გაუბედავათ წარმოსთქვა ნადომ.

— მართალს ამბობ, ჩემო დაიკო! დელბასი კეთილი კაცია და უეჭველია უარს არ გვეტყვის, — შესძახა მაროომ და გასწიეს სამკერვალოსკენ. — გესმის, ნადო, არაფერი წამოგცდეს ამხანაგებთან, თუ გიყვარვარ. — ეხვეწებოდა გზა-გზა მარო ნადოს.

სამკერვალოში ნადო ძალიან დაფიქრებული იყო. ეს ოომ ამხანაგებმა შენიშნეს, ჩააცივდენ, გვითხარი რათა ხარ აგრეო, მაგრამ ნადომ მოითმინა და არაფერი უთხრა, თუმცა ერთხელ, ცოტა გაწყდა, კინაღამ წამოსცდა.

როდესაც სამკერვალოდან გამოვიდნენ, მარო მივიდა ნადოსთან და ახარა, დელბასი სანთლებს დამპირდაო.

— იცი, მკითხა რით გადამიხდიო, და მეც დიდგულათ ვუპასუხე: შობის ხე გვექნება და თქვენც დაპატიჟების ბარათს გამოგიგზავნით-მეთქი. იმან გაიცინა და მადლობა გადამიხადა.

— ახლა, მარო, საჩუქრებისას რას აპირებ?— ჰკითხა ნადომ.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, ნადო, ყველაფერი იქნება. წავიდეთ სახლში და გაჩვენებ.

III.

სახლში ოომ დაბრუნდენ, ჩვენს გოგონებს დედა შინ არ დახვდათ, ის თავის დღიურ სამუშაოზე წასულიყო. თავიანთ პატარა ოთახში ორი და მარტო იყვნენ; მაროომაც ისარგებლა ამ მარტოობით და გაალო თავისი ძველი ხის ყუთი, საიდანაც ამოალაგა საშობაო ხეზე ჩამოსაკიდი სხვა და სხვა საჩუქრები: იქ იყო თეთრი მიტკლის ნაჭრები, ოომლებისაგან ზოგს კარგი წინსაფარებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ფართუკი) გამოვიდოდა. ყველა ეს მიტკლები ერთი მაღაზიის უფროსმა ნოქარმა აჩუქა მაროს. იყო კიდევ ფარჩის სხვა და სხვა ფერის ნაჭრები, სქელი ქაღალდის კოლოფები, რამდენიმე თეთრი ღილი და რამდენიმე ცარიელი ძაფის კოჭები.

— ე ძაფის კოჭები რაღათ გინდა?— ჰკითხა დას ნადომ.

— მოიცა და გაიგებ,— უპასუხა მაროომ. ნადოსთვის ამდენი მოიცა ძნელი ასატანი იყო, მაგრამ ახლა კი დიდხანს არ მოუნდა ცდა: მოვიდა გიორგი დანელი და ძაფის კოჭებისაგან ისეთი მშვენიერი პატარა ურმის თვლები გააკეთა, რომ ნადოს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ზედაც სქელი ქაღალდის კოლოფები შედგა და გამოვიდა ნამდვილი ეტლი. სქელი ქაღალდებისაგანვე გააკეთეს პატარ-პატარა კათხები, შეღებეს სხვა და სხვა ფერი საღებავებით, თავებზე მოაბეს ყვითლათ შეღებილი ზონრები, რომ შობის ხეზე ადვილათ ჩამოეკიდათ და ყველა ეს კი, იმათი ფიქრით, მეფური საჩუქრები იყო. გააკეთეს პატარ-პატარა თოჯები, რომლებსაც თეთრი მიტკლისაგან გაკეთებულ პირზე დაუხატეს შავი საღებავით თვალ-წარბი, წითლით ლოყები, ტანისამოსიც მშვენიერი შეუკერა მაროომ ფერადი ნაჭრებისაგან და ამან ხომ უფრო აღტაცებაში მოიყვანა ნადო.

უნდა გენახათ ნადოს და მისი ამხანაგების სიხარული მთელი კვირის განმავლობაში, თითქმის არაფრისაგან რამეს აკეთებდენ; საჩუქრებს თან და თან ემატებოდა და ბოლოს, გიორგიმ და მაროომ მოათრიეს პატარა, კოხტა შობის ხე და დადგეს ქ-ნ ლალანდის ძველ ფიცრულში. მორთეს, ააჭრელეს შობის ხე ისე, რომ სრულებით სხვა შეხედულება მიიღო.

— ახ, რა კარგი იქნება, რომ ცეცხლის ანთების ნება მოგვცენ. შენიშნა ნადომ.

— ოჰ, კარგი, ნუ ინაზები! უცეცხლოთაც კარგ დროს გავატარებთ. მაინც არა ვართ თბილ ოთახებს ჩვეული, უპასუხა მაროომ.—მოდი ჩვენ დაპატიჟების ბარათები დავწეროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ფიცრულში ერთობ სიბნელე იყო, გაღასწყვეტეს შობის ხიდან ერთი სანთლის ჩამოღება. მაროომ ძირს დაიჩოქა, გიორგიც სანთლით გვერდში მოუდგა და დაიწყეს დასაპატიჟებელი ბარათების წერა.

„გიორგი დანელი, მაროო და ნადო რიშარები უმორჩილესათ გთხოვთ მობრძანდეთ ახალწელიწად ღამეს ექვს საათზე ქ-ნ ლალანდის ფიცრულში, სადაც გამართული იქნება შობის ხე.“

— მგონი ასე კარგი იქნება! თქვა მაროომ და თავ მოწონებით დაუწყო ცქერა თავის თხზულებას. —იმდენი ქაღალდი მაქვს, სულ სხვა და სხვა ფერი, რომ ათი დასაპატიჟებელი ბარათი თავისუფლათ გამოვა

ამ დროს მაროომ თვალი მოჰკრა ქ-ნ ლალანდის სასახლეს, საიდანაც მომხიბლავათ გამოიყურებოდა ფანჯრებში ოთახის სხვა და სხვა მორთულებები, და ერთი მწარეთ ამოიოხრა. იქნება გგონიათ დიდკაცობა ინატრა? ან შეშურდა რამე? არა, მაროს გული მოუკვდა მოხუცი ქალის დანახვაზე, რომელიც დაფიქრებული, დაღრეჯილი, მარტოთ მარტო გამოიყურებოდა თავის მდიდრულათ მორთული ოთახის ფანჯრიდან, და შეებრალა მოხუცი ახლაც, როგორც ყოველთვის ებრალებოდა.

— რაზე ამოიოხრე? წაუჩურჩულა დას ნადომ.

ამ დროს გიორგი მოშორდა მათ, რომ ერთი კიდევ შეეხედა შობის ხისთვის, და მაროომ კი ჩურჩულითვე უპასუხა ნადოს.

— იცი, რა ნადო, მე საშინლათ მინდა ქალბატონი ლალანდისა დავპატიჟო. უეჭველია, იმ საცოდავ ბებერს, არც შობის ხე ექნება და არც ვინმე სტუმრები ეყოლება.

IV

საღამო ხანი იყო. ქალბატონი ლალანდისა იჯდა თავის ოთახში და დაფიქრებული ფანჯარაში გაიყურებოდა.

მას შემდეგ, რაც ქმარი და ორი შვილი დამარხა, ზისთვის

ყოველი შობა ერთნაირი იყო, მოსაწყენი, გაგრძელებული, არავინ არ უყვარდა, არავის ეკარებოდა. ერთათ-ერთი და, რომელიც ლარიბ კაცზე იყო გათხოვილი მახლობელ დაბაში, დაუქვრივდა და ორი პატარა შვილი დარჩა. ლალანდისა ყოველ წლიურ შემწეობას აძლევდა მათ, მაგრამ თვალით კი არ ნახულობდა, პატარა დისწულებსაც ყოველ წელიწადს უგზავნიდა საჩუქრებს. ესეც სიყვარულით კი არ მოსდიოდა, მოვალეობას ასრულებდა. ხშირათ იტყოდენ ხოლმე პატარა ვანო და კატო (ლალანდის დისწულები): —ნეტა ვუყვარდეთ დეიდას და საჩუქრებს თუნდ თავის დღეში ნუ გამოგვიგზავნისო.

გადიოდა წლები და ქალბატონი ლალანდისა თანდათან მიუკარებელი ხდებოდა.

30 დეკემბერი იყო. ქალბატონი ლალანდისა იმ დღეს განსაკუთრებულ მარტოობას გრძნობდა. ბუხარში ცეცხლი გუგუნებდა, ოთახში სანთელი არ ენთო. მდიდრულათ მორთულ ოთახს რაღაც უდაბნოს მსგავსი შეხედულება ჰქონდა. მთელ დღეს მოღრუბლული დარი იყო და ქალბატონი ლალანდისა თითქმის მთელ დღეს ერთ ადგილას იჯდა. უცებ ამ საღამოს ფანჯრიდან თვალი მოჰკრა ძველ ფიცრულში სანთლის შუქს და სამი ბავშვის თმახუჭუჭა თავებს. უნდოდა ზარი დაერეკა, მაგრამ ამ დროს ოთახში შემოვიდა მოხუცი მსახური.

— იქ რა სინათლეა, სიმონ?—დაეკითხა ლალანდისა მსახურს.

— რა მოგახსენოთ, ქალბატონო! აი ბავშვებს რაღაც შობის ხე მოუგონიათ ჩვენ ფიცრულში.—უპასუხა სიმონმა თავ-დაჭერილი ღიმილით.

— ბავშვებს? ვის ბავშვებს? გაკვირვებით იკითხა ლალანდისამ.

ამ დროს ზარი დაირეკა და მსახური საჩქაროთ გაბრუნდა კარის გასაღებათ. ქ-ნ ლალანდისას კარგა ხანს მოუნდა ცდა. სიმონი თითქო ვიღასაც რაღაზედაც უარს ეუბნებოდა. ბოლოს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნდა, მაგრამ სახეზე ახლაც ისეთივე თავ-დაჭერილობა ეხატებოდა.

— რა ამბავია, ვინ გელაპარაკებოდა?—დაეკითხა ლალანდისა.

სიმონმა მიართვა ჭუჭყიან ქაღალდზე დაწერილი ბარათი და თავ-ჩაღუნულმა მოახსენა:

— ქალბატონო, ღმერთმანი სასაცილონი არიან ეს ბავშვები! აი ახლა ერთი იმათგანი მოვიდა და თქვენც დაგპატიჟათ, შობის ხე გაუმართავთ და სურთ, რომ დაესწროთ იმათ დროს გატარებას.— სთქვა სიმონმა და კარში გამოვიდა, რომ თავის ცოლისთვისაც ეამბო ეს სასაცილო ამბავი.

ქალბატონმა ლალანდისამ მგონია ათჯერ გადაიკითხა უცნაური ბარათი: „ჩვენ შობის ხესა ვმართავთ, ქალბატონო, შენიჭირიმე მობრძანდით ჩვენთან ხვალ საღამოს შვიდ საათზე. ჩვენ ყველა გულით გთხოვთ, რომ მობრძანდეთ“. კითხულობდა მოხუცებული ქალი და რაღაც ისეთი უცნაური გრძნობა ეღვიძებოდა ამ ბარათის დამწერთა მიმართ, რომ, ძალაუნებურათ, სიცილის მაგიერ პატივისცემას იწვევდა. რამდენსამე ხანს შემდეგ, თითქო რაღაც გადასწყვიტაო, უცებ ზარს ჩამოჰკრა და უბრძანა მსახურს, სიმონას ცოლს, გაიანეს დამიძახეო.

— გაიანე, — მიმართა მან სიმონას ცოლს — საჩქაროთ მომეცი თბილი წამოსასხმელი და ფეხსაცმელი, სხვაგან მივდივარ.

გაიანე გაოცებული შესცქეროდა ქალბატონს.

— სიმონმა ლიფლიფა წამოიღოს, მე მინდა ჩემ ძველ ფიცრულში წავიდე. გაიანე, იცი შენ ეგ ბავშვები ვინ არიან?

— როგორ არა, ქალბატონო, ეგ ბავშვები, თქვენი დისწულის სახლში რომ სამკერვალოა, იქ მუშაობენ. ისეთი სასაცილოა, რომ იცოდეთ, გაუმართავთ შობის ხე და უთუოთ უნდათ, რომ ყველა სტუმარმა თითო საჩუქარი მიიღოს. მე და სიმონმა რამდენი ვიცინეთ!

ქალბატონი ლალანდისა ფაცი-ფუცით გაიქცა თავის ძველ

ფიცრულში და ისეთი დაფიქრებით, გულ და გულ ათვალიერებდა და ხეზე ჩამოკიდულ ყოველ ნივთს, რომ სიმონი და მისი ცოლი გაოცებით შესცქეროდენ. ცნობის-მოყვარეობა, სიბრალული, სინიდისის მხილება, ყველა იხატებოდა მოხუცი ქალის სახეზე. როცა ყველა დაათვალიერა, ერთი წარმოსთქვა: საწყალი ბავშვებიო, და გამობრუნდა სახლში, ფაცი-ფუცითვე გაიხადა წამოსასხამი და მოუბრუნდა სიმონს, რომელიც იქვე ელოდა კარებში.

— სიმონ, ამალამის მატარებლით წადი ჩემ დასთან და ხვალ შუადღისას ჩემი დისწულები მომიყვანე, სადგურზე ეტლს დაგახვედრებ. ჩემ დას გადაეცი წერილი, რომელსაც ამ ნახევარ საათში მიიღებ. დიდი ხანია დისწულები არ მინახავს და უნდა ვნახო, მგონი აღარც კი ვახსოვარ. აბა წადი, მოემზადე.

V

ვანოს და კატოს, სიხარულით არ იცოდენ, რა ექნათ, ისე იამათ დეიდის დაპატიჟება, თუმცა ეშინოდათ კი გულ-ცივი დეიდა კარგ დროს არ გაგვატარებინებსო, მაგრამ მაინც დიდის სიხარულით გადმოხტენ მატარებლიდან, ჩასხდენ დეიდის გამოგზავნილ ეტლში და გასწიეს მისი სახლისკენ. გზაში შეხვდენ მაროს და ნადოს, რომლებიც დედას მიჰყავდა საახალწლოთ ცოტა თაფლის და ღორის ხორცის საყიდლათ.

— მარო, შეხედე ქალბატონ ლალანდის ეტლსა, ბავშვები სხედან შიგ.— შეჰყვირა ნადომ.

— იქნება იმანაც შობის ხე გამართოს?!— წამოიძახა მარომ.

— გამართოს რა, ჩვენ რას დაგვიშლის. მხოლოთ ძალიან კი შეგვცივა და ამისი მეშინიან.

ქალბატონი ლალანდისა თან ეალერსებოდა თავის დისწულებს და თან უამბობდა შობის ხეზე დაპატიჟების ამბავს.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირათ გამეხარდა იმათი დაპატიჟება. ჩემო შვილებო, მინდა რითიმე გადავუხადო მაგ საწ-

ყალ ბავშვებს, ამიტომ გთხოვთ: წაიყვანეთ გაიანე, მარო, რომ ჩემი საკოდავი შვილების ოთახია, იქ ბევრი სათამაშოებია შენახული, აარჩიეთ რაც კარგი იყოს და ჩუმათ მოურთეთ იმ ღარიბ ბავშვებს შობის ხე, სულ ძვირფასი საჩუქრებით.

სიმონის და გაიანეს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ეს ამბავი გაიგეს.—მადლობა ღმერთსა, ეგება დაივიწყოს, ცოტათი მაინც, თავისი დარდი ჩვენმა ქალბატონმა, - ბუტბუტებდენ ისინი. ბავშვები კი არჩევდენ და არჩევდენ სათამაშოებს, რომ მოერთოთ ფიცრულში გამოჭიმული პატარა შობის ხე.

—

— დედიკო, საღამომდის ერთხელ კიდევ უნდა ვნახოთ ჩვენი შობის ხე.—გამოუცხადა დედას ახალწელიწად დილას ნადომ.

— დღეს მე ბევრი სამუშაო მექნება, შვილო, სასტუმროში, შუალამემდის ვერ მოვალ, ვეცდები საღამოს ერთი საათით მოვირბინო და თქვენი სიხარული ვნახო.—უთხრა დედამ შვილებს.

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო დედილო, უთუოდ მოდი. რა სიხარული გვექნება! ჩემს ამხანაგ ქეთოს, უეჭველია, მთელ ღამეს არ დაეძინებოდა სიხარულით. დედა დაჰპირდა, მოვალო, და ნადოც დამშვიდდა.

— აბა წავიდეთ, მარო, ერთხელ კიდევ ვნახოთ ჩვენი შობის ხე.—მიუბრუნდა ნადო დას. და ორივემ გასწიეს ფიცრულისაკენ, მაგრამ როდესაც შევიდნენ, ისეთი საოცარი რამ ნახეს, რომ ნადოს კინაღამ გული შეუწუხდა.

— ღვთის-მშობელო დედა! ეს რა მოხდარა?!

ვერ წარმოედგინათ, საიდან მოხდა ეს ცვლილება. შობის ხე ისევ თავის ადგილას იდგა, ისევ ისე პატარა იყო, მაგრამ ღმერთო! რა არ ეკიდა ზედ? ოქროს და ვერცხლის ჯაჭვები, სხვა-დასხვა ფერი სანთლები, ვარსკვლავები, მთვარეები, პატარა ცხენები, ძაღლები. ეს კიდევ არაფერი! შობის ხის გარშემო, ძირს შემომწკრივებული იყო სხვა და სხვა სათამაშოები, ერთი-ერთმანერთზე უკეთესები. დედოფლები, მშვენიერი მარხილები, ეტლები, დედო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლებისთვის ოთახები, ერთი სიტყვით, რა არ იყო! ნადოს ეგონა, რომ ყველა ამას სიზმარში ხედავდა, და ბოლოს სიხარულით ტირილიც დაიწყო.

— ნადო, ნუ სულელობ, — შეჰყვირა მარომ, — რა გატირებს? უეჭველია, ყველა ეს ვინმემ მოაწყო, თავისით ხომ არ მოვიდოდა. მაგრამ ნეტა თუ ვისთვის არის?

დიახ, ყველა ეს იმათთვის იყო. ამაზე ჩქარა დარწმუნდნენ ჩვენი პატარა მასპინძლები. სიმონა მოვიდა და მოიტანა რკინის ფეჩი, რომ საღამოსთვის გაემართა, იმას უკან მოჰყვენ კატო და ვანო, რომლებსაც უნდოდათ ენახათ, თუ რას იზამდენ ბავშვები, როდესაც მოულოდნელ საჩუქრებს ნახავდენ.

ათ წუთში ჩვენი სტუმარ-მასპინძლები უკვე დამეგობრდნენ. ნადომ დაწვრილებით უამბო თავისი შობის ხის ამბავი კატოს და კატომაც აუხსნა, თუ რა სასიამოვნოთ დაურჩა ქალბატონ ლალანდისას იმათი დაპატიჟება და მადლობის გადასახდელათ აჩუქა შობის ხისთვის სათამაშოები. საღამოს ქალბატონმა ლალანდისამ შეაბმევინა თავისი ეტლი და ყველა პატარა სტუმრები ეტლით მოაბძანეს.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ნადოს და მაროს არ ავიწყდებოდათ ის ბედნიერი დღე. ქალბატონ ლალანდისამ ძალიან დაიახლოვა ნადო და მარო, განსაკუთრებით მარო შეიყვარა, რადგან ის მეტათ კეთილი და მუშა გოგონა იყო. ორივე დები გამოიყვანა სამკერვალოდან და სკოლაში მიაბარა. იმათ დედასაც ადვილი სამუშაო დაუნიშნა თავისთან.

ბედნიერები იყვნენ მარო და ნადო და ბედნიერი იყო თითონ ქალბატონი ლალანდისა, რომელიც იმ **ბედნიერ დღის** შემდეგ თაკის დღეში მარტო აღარ იჯდა. მუდამ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ მოხმარებოდა ღარიბ და ჭკვიან ბავშვებს, ეხმარებოდა კიდეც და სწორეთ ამითი იყო ბედნიერი.

სონა ციციშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ა კ რ ო ს ტ ი ხ ე ბ ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

გაჰქრა ვარსკვლავი, ნათლით მოსილი,
ელფერი ჩვენის ცხოვრებისა, კეთილ-მყოფელი;
წყნარი, გულ-წრფელი, მშვიდი, მართლის მღაღადებელი,
ენა-წყლიანი, დაჩაგრულთა თანამგრძნობელი.
რა ენა მოსთვლის მის სიკეთეს სამშობლოსადმი.
ეტრფოდა ნათელს, ბოროტების მკიცხავ-მგმობელი.
თავი შესწირა სიმართლესა, ჭეშმარიტებას;
ერმაც თვის გულში დაიმარხა „კეთილ მშრომელი!“
ლოცვა-კურთხევას ნუ მოვაკლებთ მის ძლიერ სულსა!
ის ლამპარივით ნათელია ჩვენ წინ მდგომელი!

იგი მობრძანდა თეთრი მაზარით,
ახლავს თან ჯარი, ყინვა ქარისა;
ნებავს სიმკაცრით ჩვენ შეგვაშინოს,
ვის ეშინიან მისი ჯარისა?
აბა პანლური, იმ უსირცხვილოს,
რას გვემუქრება უცხო მხარისა!
იმან არ იცის, რომ დალოცვილი
არის ეს მხარე, ქრისტეს ჯვარისა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი გ. ბოკერიასაგან)

მთელ დღესა მოქეიფესა—არა დარჩა-რა ვახშმათა.

—

როგორც დაიგებ—ისე მოისვენებო.

—

თავის მოკვეთის დროს თმებზე ვინ იფიქრებსო.

—

სხვისი გიჟი სასაცილოა, თავისი კი სამარცხვინო.

(წარმოდგენილი კოტე სეხნიაშვილისაგან)

ერთი გადახტომით მწყერი არავის დაუჭერიაო.

ზ მ ა

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან)

ჩიტო ტიკტიკა ენითა, მელაპარაკე ნაღვლიანს,
მიამბე, რისთვის მიდიხართ იმ უცხო მხარეს, ნაღვლიანს.

ა მ ო ც ა ნ ა

ხაზების მაგიერ ჩასვით თითო ასო, ისე, რომ გამოვიდეს:

— და — პირველ სტრიქონში—კაცის სახელი.
— ატ — მეორეში—ოთხფეხი ცხოველი.
— ბრა — მესამეში—სახელი.
— არ — მეოთხეში—სახლის ნაწილი.
— ლი — მეხუთეში—სახელი.

როცა ჩამატებულ პირველ ასოებს წაიკითხავთ—გამოვა ცნობილი პოეტის სახელი, როცა ჩამატებულ უკანასკნელ ასოებს წაიკითხავთ—მაშინ კი მეორე პოეტის სახელს მიიღებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი იოს. ჩხატარაიშვილისაგან)

სამ მარცვლოვანი სიტყვა მაქვს
ერთ საგნის გამომხატველი,
რომლისგან ორი პირველი
არის მშობლისა სახელი.
მეორე მარცვალს თუ მოვწყვეტთ,
და მივაკერებთ მესამეს,
სიტყვას მივიღებთ, რომლითაც
ხატვენ სიმარდეს, სიჩქარეს.
მთელი კი არის ფრთოსანი,
და თითქმის ყველას ქოხშია,
საათის ალაგს ხმაროობდნენ
ქრისტეს და პეტრეს დროშია.

რებუსი

(წარმოდგენილი სათ.-აზნაურო სკოლის მოსწ ლ. რცხილაძისაგან)

ღ 2 ო ფ [ე], [კაცი რომ კვდება, რა ამოსდის?],

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ი | წყლის ორმო | ჩიტების დასაჯერი | , | | ო |

ბ ვ, ს ვ | რა არის მუ-დამ სველი? | , ი | ა | ბ | ა | , რ ქ ე ო | ე | , | ბ |

ლ ს | ბ | , ქ ლ , ს | სათამაშო ნივთი | , | საჭიდაო ადგილი

ფ | სასას რა აბია? | ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ XII ჯეჯილისა:

აკროსტიხები: 1) ჯეჯილი, 2) დეკემბერია.

გამოცანები: 1) კვერცხი, 2) ობობის ბუდე, 3) ნავი, წყალი და ნიჩაბი.

ზმა: ნინო, დარია, დათა, ილო.

ანაგრამა: ლალი-ლილა.

შარადა: სუ-კი.

რებუსი: ათი წელია ვკითხულობთ, არ მოგვწყენია ოროდეს,
ყველამ ვუსურვოთ, რომ კიდევ ათას წელს ტკბილათ ჰყვაოდეს.

აკროსტიხი, გამოცანები, ზმა, ანაგრამა, შარადა და რებუსი ახსნეს თფილისში: სათავად-აზნაურ. სკოლის მოსწავლემ იოს. ტატიშვილმა. ქუთაისში: ნიკიფორე ჩირაძემ, გ. ლალიაშვილმა, ლ. ფეიქარიშვილისამ, ეპრაქსია გურაშიძისამ, რ. ჩიხლაძემ და წმ. ნინოს სასწ. მოსწავლემ თამარა ძნელაძემ, გორის დედათა პროგიმნაზიის მოსწავლე ქალებმა: კატუშა ფავლენიშვილმა, ნატაშა ბეგთაბეგოვმა, ნინა კლიმიაშვილმა და თამარა ავალიშვილმა.

პატარა მკითხველების წერილები

I.

ქ. განჯა.

ჩვენო საყვარელო რედაქტორო. ჯეჯილის დეკემბრის ნომერში წავიკითხეთ თქვენი წერილი პაწია მკითხველებთან. ჩვენ მოგვწონა დიმიტრი, ზანგი და ყინული, უფრო მეტათ კი პასკალის ოჯახი. ძალიან ველოდით, მაგრამ ბოლო ნომერში არ იყო.

თქვენი მოსიყვარულე პატარა მკითხველები ქეთო და გოგია ბაქრაძე.

რედაქტორ.-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთერთმეტე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიდებულია თეიმურაზის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხვათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თეიმურაზში დატარებით დირს 4 მან. თეიმურაზს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თეიმურაზში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანტელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*